

დისტანციური მუშაობის
სახელმძღვანელო -
Guidelines on Remote Work



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



This publication has been produced with the assistance of the European Union. Its contents are the sole responsibility of the Office of the Government of the Republic of Lithuania and do not necessarily reflect the views of the European Union.

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ლიეტუვას რესპუბლიკის მთავრობის ადმინისტრაცია და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

The project “Capacity Building of the Civil Service Bureau of Georgia to Implement the Civil Service Reform” is funded by the European Union Twinning programme.

პროექტი „საჯარო სამსახურის ბიუროს შესაძლებლობების გაძლიერება საჯარო სამსახურის რეფორმის განსახორციელებლად“ ფინანსდება ევროკავშირის საჯარო სამსახურების დამშობილების პროგრამის ფარგლებში.



შესავალი.....	4
Introduction.....	5
დისტანციურად მუშაობის დადებითი და უარყოფითი მხარეები	6
1. დისტანციურად მუშაობის დადებითი მხარეები	6
დისტანციურად მუშაობის უარყოფითი მხარეები	7
ორგანიზაციაში დისტანციურად მუშაობის მეთოდის განხორციელების პროცედურები.....	11
1. ტექნიკური გადაწყვეტა.....	11
2. სამართლებრივი რეგულირება	11
3. დისტანციურად მუშაობა საჯარო სამსახურში.....	14
4. დისტანციურად მუშაობის პრინციპები	16
5. დისტანციურად მუშაობის საჯარო სამსახურის ბიუროსთვის რეკომენდებული მოდელი .	19
IT ინსტრუმენტები, ოპტიმალური გადაწყვეტილებები.....	19
IT ინფრასტრუქტურა.....	19
1. IT ინსტრუმენტები სამუშაო მოქნილობისთვის	19
ყველაზე მოსახერხებელი ინსტრუმენტები.....	20
ოფისი ქალაქის გარეშე და მორგებული სამუშაო გარემო.....	21
დისტანციური სწავლებისა და შეხვედრების ორგანიზება.....	22
ინფორმაციული უსაფრთხოების პროცედურების მომზადება	24
დისტანციური სამუშაო პროცესის ორგანიზება.....	26
დისტანციურად მუშაობის წინაპირობები.....	26
ცვლილების მიზნების ფორმულირება	29
1. თანამშრომლებთან კომუნიკაციის წესები	32
ეფექტიანი დისტანციური შეხვედრის ორგანიზება	36
ეფექტიანი ელ. წერილის დაწერის სახელმძღვანელო პრინციპები	38
„საქმიანობის დისტანციურად მართვის სამაგალითო პრაქტიკა“	42
დისტანციურად მომუშავე თანამშრომლები და უკუკავშირის პრაქტიკა.....	44
როგორ დავეხმაროთ საკუთარ თავს და ვიმუშაოთ შეცვლილ გარემოში	46
როგორ მოვახდინოთ ადაპტაცია ახალ რეალობასთან?	47
დისტანციურად მუშაობა - მითითებები	49
Advantages and disadvantages of the remote work	57
Advantages of the remote work	57

IMPLEMENTATION PROCEDURES OF REMOTE WORK METHOD IN THE ORGANIZATION.....	60
TECHNICAL SOLUTIONS	60
Remote work in civil service.....	63
Principles of remote work.....	64
The recommended CSB model of remote work.....	67
IT tools, optimal solutions	67
IT infrastructure.....	67
IT tools for flexible work.....	67
The most useful tools	68
Paperless office and adjusted working environment	69
Organizing remote learning and meetings	69
Preparation of information security procedures.....	70
Organization of remote working process.....	72
Prerequisites before implementing a remote working form.....	72
Formulating goals for change.....	74
Communication rules with employees	77
Organization of effective remote meetings	79
Guidelines for writing the effective e-mail messages	81
Remote performance management best practice.....	85
Feedback practices for employees working remotely	86
Recommendations on how to help yourself, working in changed conditions	88
How to adapt to a new reality?.....	88
Tips and tricks for remote working.....	90
ინფორმაციის დამატებითი წყაროები/ Additional information sources	97

შესავალი

კოვიდ 19-ის გამო გამოცხადებული საკარანტინო პერიოდის განმავლობაში ბევრ დაწესებულებას მნიშვნელოვანი გამოწვევა შეექმნა: დისტანციური მუშაობა, რომელიც აქამდე შესაძლებლობა და თავისუფალი არჩევანი იყო, ახლა ზოგადად საქმიანობის გაგრძელების წინაპირობა გახდა.

დრომ გვიჩვენა, რომ დისტანციური მუშაობის ფორმა, უპირველეს ყოვლისა, ორგანიზაციისთვის არსებული რესურსების უფრო ეფექტიანად გამოყენების შესაძლებლობაა, ხოლო თანამშრომლებისთვის - ოჯახისა და სამუშაო პასუხისმგებლობის შეთავსებისა და მზარდი სამუშაო დატვირთვის უფრო ადვილად გადალახვის. ახლა ერთ-ერთი ყველაზე დიდი მოტივაციის მომცემი ფაქტორი და კარგი შედეგის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მთავარი პირობა ის არის, რომ სტრესულ პერიოდში სახლში მუშაობის დროს, ორგანიზაციებს მეტი ძალის მობილიზების, დროის დაგეგმვის, შედეგზე ფოკუსირების და არსებული რესურსების ოპტიმალურად გამოყენების საშუალება ჰქონდეთ.

დისტანციური მუშაობა სიახლეს არ წარმოადგენს, განვითარებას განაგრძობს საჭირო მეთოდები და ტექნოლოგიებიც. ამასთან, საჯარო სექტორში, სადაც სამუშაოს მოქნილი ფორმების დანერგვა არც ისე ადვილია, დისტანციური მუშაობის გამოყენება უეცარი და ახალი გადაწყვეტაა. მისი უმთავრესი მიზანია ერთმანეთთან კავშირის შენარჩუნება და მაღალეფექტიან გუნდად ჩამოყალიბების პროცესში იმის გაცნობიერება, რომ დისტანციური მუშაობას ყველასთვის მუშაობის განსხვავებული გზა შეიძლება ჰქონდეს.

ეს სახელმძღვანელო პრინციპები დაფუძნებულია დისტანციური მუშაობის საუკეთესო გლობალურ პრაქტიკაზე და ევროპის სოციალური ფონდის სააგენტოს გამოცდილებაზე, რომელმაც დისტანციური მუშაობის ფორმა სამი წლის წინ დანერგა და ლიეტუვაში იყო პირველი საჯარო სექტორის ორგანიზაცია, რომელმაც აღნიშნული ნაბიჯი გადადგა.

ამ დოკუმენტის მთავარი მიზანია დისტანციურად მუშაობის პროცესში ორგანიზაციის მართვის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტების დანერგვა და ამის შესახებ პრაქტიკული ცოდნის გაზიარება. ასევე, დოკუმენტი მიზნად ისახავს დისტანციური მუშაობის პრაქტიკის აქტუალობის შენარჩუნებას, მას შემდეგაც, რაც საჯარო სამსახურის ბიუროს თანამშრომლები ჩვეულ რეჟიმში დაბრუნდებიან ოფისში სამუშაოდ, ან თუ დაწესებულება გადაწყვეტს, რომ თანამშრომლებს დისტანციურად მუშაობა მუდმივი ალტერნატივის სახით შესთავაზოს.

INTRODUCTION

During this COVID 19 quarantine period, many institutions faced a considerable challenge: remote working, which had been an opportunity and a free choice so far, had become a prerequisite for the continuation of activities in general.

Time has shown that the form of remote work is, first of all, an opportunity for the organization to use the available resources more efficiently, and for employees - to combine family and work responsibilities, to more easily overcome the growing workload. Now this is one of the biggest motivating factors and one of the main conditions for ensuring good results - by working at home during a stressful period, organizations are able to mobilize more forces, plan time, focus on the result and make optimal use of available resources.

Generally remote work is not new and the techniques & technologies continue to evolve. However, in the public sector, where flexible forms of work are not so easy to implement, this is a fairly new solution. The most important goal is to remain connected to each other, realize this is a different way of working to everyone and be forgiving of missteps as one grows into a highly effective distributed team.

These guidelines are based on the best global practice of remote working and the experience of the European Social Fund Agency, which implemented the form of remote working three years ago and was the first public sector organization in Lithuania to do so.

The main purpose of this document is to introduce the most important aspects of the organization's management by working remotely and to share practical knowledge about it. It was also the aim to keep these practices relevant when CSB employees return to work in their office or the institution decides to have remote working as a permanent option for its employees.

1. დისტანციურად მუშაობის დადებითი მხარეები

ორგანიზაციაში უამრავი სხვადასხვა ტიპის ადამიანია, რომელთაც აქვთ განსხვავებული ძლიერი მხარეები და სხვადასხვა რამეს ანიჭებენ უპირატესობას. ინტროვერტები მშვიდ გარემოში თავს ძალიან კარგად გრძობენ, შესაბამისად, შესაძლოა ისეთივე ეფექტიანად ვერ იმუშაონ, როგორც ექსტროვერტები მუშაობენ „ტრადიციულ“ სამუშაო ადგილებზე. ღია ოფისის გარემო ექსტროვერტების გათვალისწინებით შეიქმნა. მათთვის, ვინც სხვა ადამიანების გარემოცვაში ენერჯიას იღებს, ოფისები ზრდის პროდუქტიულობას და შემოქმედებითობას. თუმცა, ასეთი გარემოსთვის დამახასიათებელია ასევე ხმაური, სოციალური ურთიერთობები და სხვა დამაბრკოლებელი ფაქტორები, რომლებიც მნიშვნელოვან ენერჯიას ართმევენ ინტროვერტებს. რომ არა ეს ფაქტორები, ისინი ამ ენერჯიას დავალებების უკეთ შესასრულებლად მიმართავდნენ.

ამცირებს გაცდენებს

თანამშრომლები შედარებით ნაკლები რაოდენობის ბიულეტენებს იღებენ, როდესაც ფიზიკურად არ უწევთ ოფისში მისვლა. მათ შეუძლიათ უფრო მალე დაუბრუნდნენ მუშაობას, რადგან უფრო სწრაფად ჯანმრთელდებიან. რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ თუ ცუდად მყოფი თანამშრომლები სახლიდან მუშაობენ, თავისთავად მცირდება ოფისში დაავადებების გავრცელების რისკი.

ზრდის პროდუქტიულობას

დამსაქმებელთა დაახლოებით 75% ამბობს, რომ თითოეული სამუშაო დღის ორ საათზე მეტი არაპროდუქტიულად იხარჯება. ოფისში არსებული ხელისშემშლელი ფაქტორებისა და ზედმეტი მგზავრობის გარეშე, თანამშრომლებს საკუთარ დროზე მეტი

ავტონომია აქვთ. მათ შეუძლიათ საკუთარი გრაფიკი თავიანთ გონებრივ და ფიზიკურ კეთილდღეობას მოარგონ ისე, რომ საკუთარი შესაძლებლობები მაქსიმალურად ეფექტიანად გამოიყენონ. თანამშრომლები, რომლებიც ფიქრობენ, რომ სამუშაოსა და პირად ცხოვრებას შორის კარგი ბალანსი აქვთ, 21% -ით უფრო ბეჯითად მუშაობენ, ვიდრე ისინი, ვინც ამ ბალანსის დანაკლისს განიცდის.

ზოგავს ფულს

კომპანიები, რომლებსაც დისტანციურად მომუშავე თანამშრომლები ყავს, აღნიშნავენ, რომ მათი საოპერაციო ხარჯები მნიშვნელოვანად შემცირდა. ორგანიზაციებმა ასევე ხაზს უსვამენ დასაქმებულთა ბრუნვის დაბალ დონეს, რაც ხარჯების დიდი მოცულობის

შემცირებასთან შეიძლება იყოს დაკავშირებული.

ყველაზე ნიჭიერი ადამიანების

დაქირავების საშუალებას უზრუნველყოფს

კორპორაციულ კულტურაში დისტანციური თანამშრომლების გამოყენებით, უფრო დიდ არჩევანს იღებთ თანამშრომელთა დაქირავების თვალსაზრისით. ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ არ ხართ შეზღუდული

მხოლოდ თქვენს გეოგრაფიულ ზონაში არსებული შესაძლებლობებით და ნიჭიერი ადამიანების უფრო ფართო სპექტრზე მიგიწვდებათ ხელი. მოქნილი სამუშაო გარემო ძალზე მიმზიდველია, რამაც შესაძლოა საუკეთესო ადამიანებს თქვენს გუნდში ყოფნის სტიმული მისცეს.

დისტანციურად მუშაობის უარყოფითი მხარეები

თანამშრომლებმა შეიძლება დაკარგონ სახლიდან მუშაობის მოტივაცია. ენერჯის ან კონცენტრაციის შემცირება ყოველთვის მკაფიოდ არ არის გამოხატული. უამრავი ზოგადი მიზეზი არსებობს, რის გამოც შეიძლება ადამიანს მოულოდნელად შეუმცირდეს მოტივაცია, მაგრამ სახლიდან მუშაობას საკუთარი სპეციფიკური მახასიათებლები აქვს. მოტივაციის შემცირების ძირითადი მიზეზები შეიძლება იყოს შემდეგი.

კოლეგებთან ურთიერთობის შემცირება

კოლეგებთან ურთიერთობა ძალიან მნიშვნელოვანია მოტივაციისთვის, ამიტომ მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ დისტანციურად მომუშავე თანამშრომლები, ნაკლებად მჭიდრო ურთიერთობებს ამყარებენ კოლეგებთან, ვიდრე მათი ოფისში მომუშავე კოლეგები. როდესაც ადამიანი კარგავს კავშირს გუნდთან, ის მისი მოტივაციის ძალასაც კარგავს: კოლექტიურ წახალისებას და საერთო წარმატებით მიღებულ აღფრთოვანებას.

მარტობა

სახლიდან მუშაობამ შეიძლება ადამიანი უკიდურეს იზოლაციაში მოაქციოს. როცა თანამშრომლები ერთად არ მიდიან ყავის დასალევად, არ სადილობენ ერთად და მომავალ დავალებაზე არ საუბრობენ, შესაძლოა თავი მოწყვეტილად და მარტოდ იგრძნონ.

ნაკლებად აღიარება

ადამიანები, რომლებიც სახლიდან მუშაობენ, ნაკლებად ჩანან, ვიდრე ოფისში მომუშავე თანამშრომლები - რაც განსაკუთრებით დამაფიქრებელია, თუ

გავითვალისწინებთ, რომ კვლევების მიხედვით, სამსახურში ფიზიკური ყოფნა ზრდის თქვენი დაწინაურების და პოზიტიური შეფასების ალბათობას. თითოეული ადამიანისათვის მნიშვნელოვანია, რომ თავი დაფასებულად იგრძნოს. ეს შინაგანი მოტივაციის ფუნდამენტური კომპონენტია. თუ ადამიანები არ გრძნობენ, რომ მათ ძალისხმევას აფასებენ (ან თუნდაც ამჩნევენ), მათ უკვე ეჭვი ეპარებათ საკუთარ თავში.

ველარ ხედავენ საკუთარი მუშაობის მნიშვნელობას

თუ თანამშრომლები არ იღებენ უკუკავშირს და არ ესმით, როგორ უწყობენ ხელს საერთო საქმიანობას, მათ აღარ ესმით რატომ მუშაობენ. შინაგანი მოტივაცია იქიდანაც გამომდინარეობს, რომ ადამიანი ამაყობს საკუთარი საქმიანობით, შესაბამისად, თუ ისინი ვერ ხვდებიან რა აზრი აქვს მათ მუშაობას, შეიძლება უმნიშვნელოდ იგრძნონ თავი.

სტრუქტურის არარსებობა

მგზავრობას, ლანჩზე შესვენებას და ოფისის რუტინას გარკვეული სტრუქტურა შემოაქვს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. მათ გარეშე, სამუშაო გრაფიკი შეიძლება უსაზღვროდ გაიწელოს. სამსახურსა და შესვენებას შორის

ნდობის ან კონტროლის არარსებობა

არავის უყვარს შეგრძნება, რომ უთვალთვალევენ და მკაცრად აკონტროლებენ. სამსახურში მოტივირებული რომ ვიყოთ, ავტონომია და თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობა უნდა გვქონდეს. თუ ვინმე გრძნობს, რომ მისი უფროსი მის ყოველ ნაბიჯს აკონტროლებს, ან არ სჯერა, რომ ის რეალურად მუშაობს (როდესაც სახლიდან მუშაობს), შეიძლება მოტივაცია მარტივად დაკარგოს.

გადაღლა და სტრესი

როდესაც სამსახური და სახლი ფიზიკურად ერთმანეთისგან არ არის დაშორებული, თანამშრომელი შეიძლება ადვილად გადაიღალოს. ასევე, შესაძლებელია, რომ თანამშრომელს დიდი დატვირთვა ჰქონდეს და ეს ვერავინ შენიშნოს. ასევე, შესაძლებელია სახლში სულაც არ იყენებდეს შესვენებებს, ან გვიან ღამემდე მუშაობს და ვერ ახერხებდეს სამუშაოდან მოწყვეტას.

ფსიქოლოგიური ბარიერების არარსებობა ამას მხოლოდ ამძაფრებს - რისთვის არის მისაღები ოთახი დასასვენებლად თუ სამუშაოდ? როგორ განვაცალკევოთ ეს ორი ერთმანეთისგან? სტრუქტურის გარეშე, დღეები შეიძლება მოსაწყენი და უაზრო გახდეს.

ახალი ხელის შემშლელი ფაქტორები და გამოწვევები

სახლიდან მუშაობას უამრავი ახალი ხელისშემშლელი ფაქტორი ახლავს თან. ასევე შეიძლება არსებობდეს ახალი გამოწვევები, მაგალითად, ბავშვებთან და სახლში სხვა პირების გარემოცვაში მუშაობა.

უეცარი პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე

როდესაც სახლიდან მუშაობთ, თქვენზეა დამოკიდებული: დროზე ადგომა დილით, საჭირო დროის განმავლობაში მუშაობა, დროულად შესვენება. მოულოდნელად ვაწყდებით დროის უზარმაზარ, უფორმო მასას და დღეს, რომელიც იქამდე გრძელდება, სანამ არ გადავწყვეტთ, რომ იგი დასრულდა. ამ ყველაფერმა შეიძლება დაგვთრგუნოს და ცუდად იმოქმედოს ჩვენზე.

პირადი სტრესი

დიდი ცვლილებების ფონზე მუშაობა შეიძლება ძალიან სტრესული იყოს. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანებს აღელვებთ ფინანსური არასტაბილურობა, სოციალური იზოლაცია ან ჯანმრთელობის მდგომარეობა, ახლა ბევრ მათგანს ყველაზე მეტად, გაურკვევლობის გრძნობის მართვა უჭირს. რადგანაც ისინი ყურადღებას სხვა პრობლემებზე ამახვილებენ, შეიძლება სამუშაო უკანა პლანზე გადაიწიოს. ლიდერისთვის დიდი გამოწვევაა მართოს ადამიანი, რომელსაც

არასოდეს შეხვედრია. ძნელი სათქმელია, როდის აღწევს გუნდის წევრი შესაძლებლობების მაქსიმუმს, ან ვის შესწევს უნარი და ვინ უზრუნველყოფს, რომ დისტანციური თანამშრომლები პრიორიტეტულ საკითხებზე მუშაობდნენ - ვის შეუძლია მათი გამხნეება, მათი ყოველი ნაბიჯის კონტროლის გარეშე.

თანამშრომელი ვეღარ ხედავს საერთო სურათს

მენეჯერები ამბობენ, რომ ისინი ვერ „გრძნობენ“ თანამშრომლებს, არ იციან, ცხოვრობენ თუ არა ისინი კომპანიის მიზნებისთვის. ეს წუხილი გასაგებია, როდესაც თანამშრომელი კვირაში მხოლოდ ერთხელ მიდის ოფისში, როგორც ჩანს, ის ვეღარ აცნობიერებს კომპანიის მიზნებს, ვეღარ ხედავს საერთო სურათს და პირად შედეგზე უფრო მეტს ფიქრობს.

მენეჯერებმა არ იციან როგორ მართონ თანამშრომლები დისტანციურად

როდესაც გუნდი სხვადასხვა სამუშაოს შესრულებაზეა გაფანტული, მენეჯერები ვერ ახერხებენ ლიდერობის ადაპტირებას, კონტროლის ხელში აღებას და, შესაბამისად, ცდილობენ, რომ ამის კომპენსაცია მოახდინონ კონტროლით. უკიდურესად გაზრდილი კონტროლი ამცირებს მოტივაციას და ზრდის სამუშაოთი უკმაყოფილების დონეს.

თანამშრომლებს დისტანციურად მუშაობასთან ადაპტაციისთვის და რუტინის გამოსამუშავებლად 3 თვე სჭირდებათ. რუტინული და ახალი სამუშაო ჩვევები მხოლოდ დისტანციურად მუშაობის დაწყებიდან ნახევარი წლის შემდეგ ყალიბდება.

ირღვევა ბალანსი სამუშაოსა და პირად ცხოვრებას შორის

დისტანციურად მუშაობისას მნიშვნელოვანია დროის კარგად დაგეგმვის უნარები, წინააღმდეგ

შემთხვევაში, გაქრება სამუშაოსა და პირად ცხოვრებას შორის გამყოფი ხაზი. მართალია სამუშაო საათები არსებობს, მაგრამ ადამიანები ვერც კი შენიშნავენ, ისე იწყებენ მუშაობას საღამოობით და შაბათ-კვირას. როდესაც მკაფიო განსაზღვრული სამუშაო საათები არ არის, ადამიანი უფრო სწრაფად იღლება, მცირდება პროდუქტიულობა და ყურადღება. ადამიანებს, რომლებსაც არ აქვთ თვითდისციპლინა, ყოველდღიური კომუნიკაცია, უჭირთ დისტანციურად მუშაობა.

ლიეტუვას გამოცდილება

ევროპის სოციალური ფონდის სააგენტომ (ESFA) დისტანციურად მუშაობის გადაწყვეტილება შემდეგი ძირითადი მიზეზების გამო მიიღო:

1. ბიუჯეტის ნაკლებობა და საოფისე ფართის დაქირავებიდან თანხის დაზოგვა, რის გამოც სამუშაო ადგილების 30% -ის გათავისუფლება იყოს საჭირო.
2. საუკეთესო თანამშრომლების შენარჩუნება და მოტივაცია.
3. სამუშაო დატვირთვის გაზრდასთან გამკლავება სამუშაოს ეფექტიანობის გაზრდით.

გასული წლის თანამშრომელთა კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ამ შემთხვევაში დისტანციურმა შრომამ გაამართლა და თანამშრომლების 95% კმაყოფილია. ასევე, გაიზარდა ბევრი მაჩვენებელი:

1. თანამშრომლების ჩართულობის მაჩვენებელი გაიზარდა 10%-ით (თანამშრომლების ჩართულობის 53%);
2. ტრენინგის და განვითარების შესაძლებლობები გაიზარდა 7%-ით (84 %);
3. ფიზიკური სამუშაო გარემოთი კმაყოფილების დონე გაიზარდა 10%-ით (82%);
4. რესურსების (ტექნოლოგიების) პროდუქტიულად გამოყენების მაჩვენებელი გაიზარდა 12%-ით (79%);
5. კოლეგების მიმართ დამოკიდებულება გაუმჯობესდა 12%-ით (75%).

ასევე გაიზარდა ძირითადი მაჩვენებლები:

1. მაღალეფექტიანი მუშაობის სტანდარტების კულტურა 10%-ით;
2. ადამიანური კაპიტალის სტაბილურობა 11%-ით;

3. დამქირავებლის რეპუტაცია გაუმჯობესდა 12%-ით (თანამშრომლების 69% მიიჩნევს, რომ ESFA, როგორც დამქირავებელი, ძალიან მიმზიდველია);
4. ხელმძღვანელობის სანდოობა გაიზარდა 15%-ით.

ორგანიზაციაში დისტანციურად მუშაობის მეთოდის განხორციელების პროცედურები

1. ტექნიკური გადაწყვეტა

ბოლო ათი წლის განმავლობაში დისტანციურად მუშაობის დონე მატულობს, რადგან დამსაქმებლები და თანამშრომლები ნელ-ნელა ხვდებიან მის უპირატესობებს. დისტანციური მუშაობის მეთოდების დანერგვა ორგანიზაციაში მოითხოვს გარკვეულ ტექნიკურ გადაწყვეტას. იმისთვის, რომ თანამშრომლებს სამუშაოს შეუფერხებლად და წარმატებულად შესრულება შეეძლოთ, საჭიროა შესაბამისი სამართლებრივი რეგულირების ნორმები, ტექნოლოგიური მხარდაჭერა და კომფორტულად მორგებული სამუშაო სივრცე გარემო.

2. სამართლებრივი რეგულირება

ორგანიზაციაში დისტანციურად მუშაობის, როგორც მუშაობის მეთოდის დასაწინააღმდეგად, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა სწორად განისაზღვროს გარკვეული წესები ისე, რომ ზიანი არ მიადგეს არც დამსაქმებლის და არც დასაქმებულის ინტერესებს (მაგ., სამუშაო უსაფრთხოება ან სამუშაო მოვალეობების არასათანადოდ შესრულება). უნდა გაითვალისწინოთ, რომ დისტანციურად მუშაობისას, დასაქმებულზე ვრცელდება დამქირავებლის ყველა შიდა რეგულირების ნორმა და დასაქმებული ვალდებულია ჩვეულებრივ შეასრულოს ყველა მოვალეობა, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ოფისის გარეთ მუშაობის არსს.

ბევრ ქვეყანაში უფრო და უფრო მეტად პოპულარული ხდება დისტანციური სამუშაო პოლიტიკა ან წესები დამსაქმებლებს შორის. ორგანიზაციები ცდილობენ განსაზღვრონ არა მხოლოდ სამუშაო დროის ის ნაწილი, რომლის განმავლობაშიც თანამშრომელი დისტანციურად იმუშავებს, არამედ ასევე, სამუშაო ადგილის მიმართ მოთხოვნები, უზრუნველყონ სამუშაო ალჭურვილობა, შეიმუშაონ მათი გამოყენების წესი, სამუშაო დროის აღრიცხვის გზები, შესრულებული სამუშაოსთვის ანგარიშსწორების მეთოდები და ა.შ.

სამართლებრივი რეგულირების საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების თანახმად, დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის დისტანციური მუშაობის შესახებ შეთანხმება შედის ცალკე დებულების სახით შრომით ხელშეკრულებებში ან / და დადგენილია კომპანიის შინაგანაწესით.

ლიეტუვას გამოცდილება

ESFA, რომელიც დისტანციურ მუშაობას, მუშაობის ერთ-ერთ მეთოდად იყენებს, შრომით ხელშეკრულებებში შემდეგი კომპონენტები აქვს:

მხარეები თანხმდებიან, რომ დასაქმებულს, დამსაქმებლის მიერ დადგენილი წესით, შეუძლია შეასრულოს ყველა შეთანხმებული სამუშაო ფუნქცია ან მათი ნაწილი დისტანციურად სხვა, დასაქმებულისთვის მისაღებ ადგილზე (დამსაქმებლის შენობის გარდა სხვა ადგილას). დისტანციურად მომუშავე პერსონალს გადაეცემა სამუშაო აპარატურა (რომლის დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში ხდება მისი კომპენსაცია) დამსაქმებლის მიერ დამტკიცებული ზოგადი პროცედურის შესაბამისად, თუ დამსაქმებელი სხვაგვარად არ გადაწყვეტს.

კომპანიის შინაგანაწესის მიზანია სამუშაოს პრინციპების განსაზღვრა, ასევე სამუშაოსთან, ჯანმრთელობასთან, უსაფრთხოებასთან და ა.შ. დაკავშირებული წესების უზრუნველყოფა. შინაგანაწესს, ძირითადად, შრომის კოდექსის, სხვა კანონებისა და პრაქტიკის შესაბამისად ამზადებენ და იგი ყველა თანამშრომელზე ვრცელდება.

ლიეტუვას გამოცდილება

ESFA-მ დისტანციური მუშაობის, როგორც მუშაობის მეთოდის განხორციელებისას, შინაგანაწესში შემდეგი რეგულირების ნორმების შეიტანა:

- დისტანციური მუშაობა, წარმოადგენს სამუშაო ორგანიზაციის ფორმას ან სამუშაოს შესრულების მეთოდს, რომლის გამოყენებისას, თანამშრომელი სამუშაო მოვალეობებს მთლიანად ან ნაწილობრივ დისტანციურად ასრულებს, თანამშრომლის მიერ შერჩეულ და მისთვის მისაღებ ადგილას (სამსახურის (ოფისის) გარდა სხვა ადგილას).
- დასაქმებული უზრუნველყოფს, რომ მის მიერ არჩეულ სამუშაო ადგილი შეესაბამებოდეს პროფესიული უსაფრთხოების და ჯანმრთელობის შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნებს. თუ დასაქმებულს აქვს რაიმე ეჭვი ადგილის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, დასაქმებული უკავშირდება უშუალო ხელმძღვანელს. დასაქმებული ვალდებულია იზრუნოს საკუთარი თავის და ასევე სხვების უსაფრთხოებაზე და ჯანმრთელობაზე, რომლებიც შეიძლება დაზარალდნენ თანამშრომლის არასწორი მოქმედების ან შეცდომების გამო. აგრეთვე, თანამშრომელი ვალდებულია იზრუნოს აღჭურვილობისა და სამუშაო მოწყობილობის სათანადო გამოყენებასა და დაცვაზე.

- დისტანციურად მომუშავე თანამშრომლებს ეხება ყველა დოკუმენტის დებულება (აღწერილობა, პროცესები, პროცედურები და ა.შ.) დავალებული სამუშაოს შესრულების, სამუშაო აღჭურვილობის უზრუნველყოფის, მისი გამოყენების სწავლის, სამუშაო აღჭურვილობის დაკარგვის ან დაზიანების გამო კომპენსაციის, მონაცემების დაცვის, მიუკერძოებლობის შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული სააგენტოს შენობაში არსებული ფუნქციების შესრულებასთან, ან როდესაც (დებულებების გამოყენების) შეზღუდვები თვითონ ამ წესებით ან სხვა დოკუმენტებით განისაზღვრება.
- დისტანციური მუშაობა დასაშვებია კვირაში ერთიდან ხუთი სამუშაო დღის რაოდენობით, თანამშრომელსა და უშუალო ხელმძღვანელს შორის შეთანხმებით. საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს უშუალო ხელმძღვანელი, რომელიც პასუხისმგებელია შეაფასოს თანამშრომლების დისტანციურად მუშაობის პირადი და ტექნიკურ შესაძლებლობები, სამუშაო დატვირთვა (დასაქმებულისთვის მიცემული სამუშაოს სპეციფიკის და ამ სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო საშუალო ვადის გათვალისწინებით) და დისტანციურად მუშაობისთვის გამოყოფილი დღეების რაოდენობა.
- არა უგვიანეს ყოველი ხუთშაბათის დღის ბოლოს თანამშრომელი ავსებს დისტანციურ სამუშაო გრაფიკს შემდეგი კვირისთვის, რომლის განმავლობაშიც იგი იმუშავებს დისტანციურად განსაზღვრული ფორმით.
- დასაქმებული ვალდებულია სამუშაო დღეებში ტელეფონით იყოს ხელმისაწვდომი სააგენტოს გარე კლიენტებისა და თანამშრომლებისთვის სააგენტოს ოფიციალურ სამუშაო საათებში, ამ წესების შესაბამისად.
- დასაქმებული ვალდებულია უზრუნველყოს მისთვის გადაცემული კომპიუტერის კავშირი ინტერნეტთან და მისთვის მიცემული დავალებების სწორად და დროულად შესრულება. ასევე, ვალდებულია დაუკავშირდეს გარე კლიენტებს, მონაწილეობა მიიღოს ყველა დაგეგმილ შეხვედრაში, კონფერენციაში დისტანციურად და ა.შ.
- დასაქმებული უზრუნველყოფს, რომ სამუშაო ფუნქციები არ შესრულდეს ღამის 10 საათიდან დილის 6 საათამდე, ასევე დასვენებისა და უქმე დღეებში.
- დასაქმებული სამუშაო დროს ანაწილებს საკუთარი შეხედულებისამებრ და საკუთარი თავის წინაშე აგებს პასუხს, რომ არ დაირღვეს მაქსიმალურ სამუშაო საათებთან და მინიმალურ დასვენების პერიოდთან დაკავშირებული დადგენილი მოთხოვნები.
- ინციდენტის, გადაცემული ქონების დაკარგვის, დაზიანების ან სხვა განსაკუთრებულ შემთხვევაში, დასაქმებული დაუყოვნებლივ აცნობებს უშუალო მენეჯერს და აწვდის მას ინფორმაციას ინციდენტთან დაკავშირებული გარემოებების შესაფასებლად.

3. დისტანციურად მუშაობა საჯარო სამსახურში

საჯარო სამსახურში დისტანციურად მუშაობა ლიეტუვაში მუშაობის ჩვეულებრივი ფორმა არ არის. ზოგჯერ ამას უფრო პრივილეგიად აღიქვამენ. რა თქმა უნდა, პრაქტიკა შეიძლება განსხვავდებოდეს სხვადასხვა დაწესებულებაში შემდეგი პირობების მიხედვით: სამუშაოს სპეციფიკა, შედეგის გაზომვის შესაძლებლობები, მოქნილი ადმინისტრირება, დამოკიდებულებები მენეჯერებსა და თანამშრომლებს შორის.

ეს პრაქტიკა უფრო მეტად პოპულარულია IT, სადაზღვევო და სატელეკომუნიკაციო კომპანიებში, რომლებსაც აქვთ დისტანციური სამუშაო პროგრამები. დისტანციური მუშაობის დონე ლიეტუვაში 13%-ს შეადგენს, რაც პოსტსაბჭოთა ქვეყნების საშუალო მაჩვენებლის ანალოგიურია. ამ ქვეყნებში ინფორმაციული ტექნოლოგიების სათანადო განვითარების მიუხედავად, დისტანციური სამუშაოს დანერგვა მოსალოდნელზე გაცილებით ნელი ტემპით მიმდინარეობს, ისეთი ორგანიზაციული ფაქტორების გამო, როგორცაა მენეჯერების ნდობის დაბალი ხარისხი და ადამიანების საჭიროება, პირისპირ კომუნიკაცია ჰქონდეთ (Eurofound, 2017).

ლიეტუვას გამოცდილება

ლიეტუვას რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით (2018 წლის 12 დეკემბერი - No.1296) განსაზღვრულია საჯარო მოხელეთა და დიპლომატების დისტანციური მუშაობის წესი. დადგენილებაში ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტებია:

- საჯარო მოხელემ, რომელსაც სურს, რომ დისტანციურად იმუშაოს, წერილობითი მოთხოვნა უნდა წარუდგინოს უშუალო მენეჯერს. მოთხოვნაში მითითებული უნდა იყოს დისტანციური მუშაობის დეტალები: ადგილი, დრო (პერიოდი ან თარიღი), დღის დაწყების და დამთავრების დრო, რომელიც დაწესებულების მუშაობის დაწყების და დამთავრების დროსგან 2 საათზე მეტით არ უნდა განსხვავდებოდეს, ტელეფონის ნომერი, რომელზეც გადამისამართდება სატელეფონო ზარი.
- მიღებული თხოვნის საფუძველზე, უშუალო მენეჯერი 3 სამუშაო დღეში აცნობებს მოხელეს ელექტრონული ფოსტით ან დაწესებულებაში გამოყენებული დოკუმენტბრუნვის სისტემის საშუალებით, გადაწყვეტილებას თანხმობასთან დაკავშირებით. უარის შემთხვევაში, მენეჯერმა უნდა დაასაბუთოს მიღებული გადაწყვეტილება, მაგ.: საჯარო მოხელეს არ აქვს უფლება დისტანციურად იმუშაოს, რადგან მისი თანამდებობა შედის დაწესებულების მიერ დამტკიცებულ პოზიციათა სიაში, რომელიც ვერ მუშაობს დისტანციურად.

- თუ ეს საჯარო მოხელეზე დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად საჭიროა, დაწესებულებამ უზრუნველყოს თანამშრომელი სამუშაო ადგილზე იმდენად, პერსონალური დამცავი მოწყობილობებით და, თუ შესაძლებელია, დოკუმენტების მართვის სისტემაზე, სხვა ინფორმაციულ სისტემებსა და ელექტრონული ფოსტაზე წვდომით დისტანციურად მუშაობის პერიოდში.
- დისტანციურად მომუშავე საჯარო მოსამსახურის ძირითადი მოვალეობებია: უზრუნველყოს დისტანციურ სამუშაო ადგილზე ინტერნეტთან კავშირი, კომპიუტერული ტექნიკა და ტელეფონი; ვალდებულია შეამოწმოს ელ. ფოსტა, უპასუხოს ელექტრონულ წერილებს, უპასუხოს სატელეფონო ზარებს, დროულად შეასრულოს დავალებები. ასევე, დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად, აუცილებლობის შემთხვევაში, დაწესებულების ხელმძღვანელის ან უშუალო ხელმძღვანელის მიერ მითითებულ ვადაში მივიდეს დაწესებულებაში ან სხვა ადგილას.
- დაწესებულების ხელმძღვანელის ძირითადი უფლებებია: საჯარო მოხელეთა იმ თანამდებობათა სიის დამტკიცება, რომლებიც ვერ იმუშავენ დისტანციურად. ასევე, დისტანციური სამუშაო დროის მინიმალური და (ან) მაქსიმალური ნაწილის განსაზღვრა საერთო სამუშაო დროსთან შედარებით, დისტანციურად და ჩვეული გზით ერთდროულად მომუშავე საჯარო მოხელეების ნაწილის (პროპორციის) განსაზღვრა; საჯარო მოხელეებისათვის დავალებების მიცემის და დისტანციური მუშაობის შედეგების შესახებ ანგარიშების მეთოდის განსაზღვრა, ვადის დადგენა, რომლის განმავლობაშიც მოხელე, აუცილებლობის შემთხვევაში, უნდა მივიდეს დაწესებულებაში ან დაწესებულების ხელმძღვანელის ან უშუალო მენეჯერის მიერ მითითებულ სხვა ადგილას და შეასრულოს მასზე დაკისრებული ფუნქციები. გარადა ამისა, სასურველია დადგინდეს დაწესებულების დოკუმენტების მართვის სისტემასთან ან დაწესებულებაში გამოყენებულ სხვა ინფორმაციულ სისტემასთან დაკავშირების მოთხოვნები.
- დისტანციურად მუშაობის მოთხოვნა შეიძლება გაუქმდეს უშუალო ხელმძღვანელის ან დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ, იმ შემთხვევაში, თუ მნიშვნელოვანია სამუშაოზე ან სხვა ადგილას ფუნქციების შესრულება, ან თავად თანამშრომელმა მოითხოვა მისი გაუქმება.
- საჯარო მოხელეს შეიძლება აუნაზღაურდეს პირადი სატელეკომუნიკაციო ადგილზე, კომპიუტერული ტექნიკის, ოფისის მოწყობილობებისა და სამუშაო მიზნებისათვის სხვა პირადი საშუალებების ან ადგილზე მუშაობის გამოყენების ხარჯები. ასანაზღაურებელი ხარჯების ოდენობა და პირობები შეიძლება განისაზღვროს

კოლექტიური ხელშეკრულებით ან მისი არარსებობის შემთხვევაში, დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ.

4. დისტანციურად მუშაობის პრინციპები

დისტანციურად მუშაობა ეფექტიანი რომ იყოს, სასურველია ორგანიზაციას ჰქონდეთ მკაფიო პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს თანამშრომლის მიმართ მოლოდინს, ისევე როგორც დამსაქმებლის მოვალეობებს. მსგავსი პოლიტიკის დოკუმენტის დანერგვით, თქვენ შეგიძლიათ ზუსტად განსაზღვროთ, თუ რას ელით თანამშრომლებისგან სახლიდან მუშაობის დროს.

ყველაზე გავრცელებული პრინციპები, რომლებიც კომპანიებმა უნდა გაითვალისწინონ და განსაზღვრონ დისტანციური სამუშაო პოლიტიკაში, შემდეგია:

შესაძლებლობა - საკუთარი სამუშაო და ოპერაციული მოდელის ანალიზის საფუძველზე, კომპანიებმა უნდა დაადგინონ, თუ რომელი თანამდებობებია უფლებამოსილი დისტანციურად იმუშაონ და დააფიქსირონ ისინი თავიანთ პოლიტიკაში. ამასთან, ზოგიერთ კომპანიას შეიძლება არ ჰქონდეს სამუშაო, რომლის დისტანციურად შესრულება შესაძლებელია. კომპანიებმა, რომელთაც არ აქვთ დისტანციურად მუშაობის შესაძლებლობის მქონე პოზიციები, ეს თავიდანვე უნდა დააფიქსირონ, მომავალი მოთხოვნების ან შეკითხვების გამორიცხვის მიზნით.

ხელმისაწვდომობა - მოქნილობა მოითხოვს ნდობას და პასუხისმგებლობის გრძნობას. თუ კომპანია დაუშვებს დისტანციურ მუშაობას, მაშინ თანამშრომლის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული მოლოდინები

პოლიტიკაში უნდა აისახოს. მაგალითად, მოეთხოვება თუ არა თანამშრომელს დილის 9 საათიდან სადამოს 6 საათამდე მუშაობა, თუ მას საკუთარი განრიგის შედგენის უფლება მიეცემა. თავიდანვე გრაფიკის მოთხოვნების დაწესება აღმოფხვრის დროსთან დაკავშირებულ გაუგებრობებს თანამშრომლებს შორის. თუ ერთ თანამშრომელს შეუძლია საკუთარი გრაფიკი ჰქონდეს, მეორესთვის კი განსაზღვრული საათებია დადგენილი, ამან შეიძლება შექმნას უსამართლო გარემო. სასურველია ორგანიზაციაში შეთანხმებული იყოს გუნდთან მუშაობის წესები - როდის და როგორ იქნებით ხელმისაწვდომი კოლეგებისა და მომხმარებლებისთვის, რამდენად სწრაფად გსურთ პასუხის გაცემა თხოვნაზე, იმის მიხედვით, თუ კომუნიკაციის რომელი ფორმაა გამოყენებული, ელ.ფოსტა, მოწვევა კალენდრით და ა.შ. ასევე, რა პირადი

მოთხოვნები აქვს მუშაობის სტილისა და ვადების თვალსაზრისით. გარდა ამისა, დასაქმებულმა უნდა აცნობოს უშუალო მენეჯერს ოფისიდან იმ ადგილის დაშორების შესახებ, სადაც ის აპირებს დისტანციურად მუშაობას. მანძილი შეიძლება მნიშვნელოვანი ფაქტორი იყოს მუშაობის ორგანიზებაში.

პროდუქტიულობის განსაზღვრა - პროდუქტიულობაზე საუბრისას, დისტანციურ სამუშაო პოლიტიკაში უნდა განსაზღვროს, თუ როგორ გაიზომება თანამშრომლის პროდუქტიულობა. პროდუქტიულობა შეიძლება სხვადასხვაგვარად შეფასდეს, იქნება ეს პროექტზე დახარჯულ დრო, გადაჭრილი საკითხები, კლიენტებთან ურთიერთქმედების რაოდენობა თუ სხვა. კომპანიებმა უნდა დაადგინონ, თუ როგორ შეაფასებენ თანამშრომლებს. მთავარია განსაზღვროთ, რომ შეგიძლიათ შეაფასოთ მუშაობის შედეგები და არა უბრალოდ საათების რაოდენობა. თუ თანამშრომლის მიერ დისტანციურად სამუშაოების შესრულების შემდეგ პროდუქტს აფასებთ და სასურველ შედეგს იღებთ, მაშინ ეს უკეთესი ვარიანტია, ვიდრე საათების რაოდენობის მიხედვით ადამიანების შეფასება.

აღჭურვილობა - დისტანციურად მომუშავე თანამშრომლებს სამუშაოს შესასრულებლად შესაბამისი ინსტრუმენტები სჭირდებათ. აქედან

გამომდინარე, კომპანიებმა უნდა განაცხადონ, თუ რა აღჭურვილობის შეთავაზება შეუძლიათ ამ თანამშრომლებისთვის. თუ ისინი მოელიან, რომ თანამშრომლები თვითონ უზრუნველყოფენ კომპიუტერებს, მაშინ მათ ეს უნდა მიუთითონ. ზოგიერთი ორგანიზაცია მოითხოვს, რომ გქონდეთ ინტერნეტ სერვისი, რომელიც გარკვეული სიჩქარის მოთხოვნას აკმაყოფილებს. პოტენციური დისტანციურად მომუშავე თანამშრომლები წინასწარ უნდა გაეცნონ ტექნიკური საკითხების მიმართ არსებულ მოლოდინებს, იმისათვის, რომ იცოდნენ, შეძლებენ თუ არა მათ დაკმაყოფილებას.

ტექნიკური მხარდაჭერა
აღჭურვილობასთან ერთად, კომპანიებმა უნდა დაადგინონ, უზრუნველყოფენ თუ არა ტექნიკურ მხარდაჭერას დისტანციურად მომუშავე თანამშრომლებისთვის. თითქმის ყველა მსხვილ კომპანიას აქვს ადგილზე ტექნიკური მხარდაჭერა, თუმცა არა დისტანციური. პოლიტიკაში მიუთითეთ, თუ რა უნდა გააკეთონ დისტანციურად მომუშავე თანამშრომლებმა ტექნიკური სირთულეების დროს.

კანონიერი შეწყვეტა - კანონიერი შეწყვეტის შესახებ დებულება კომპანიების უმრავლესობის პოლიტიკაში შედის. კომპანიებმა ცალსახად უნდა განაცხადონ, რომ არცერთი თანამშრომელი გათავისუფლდება დისტანციურად

მუშაობის გამო. მიზეზი, რის გამოც ეს პოლიტიკაში აღინიშნება ის არის, რომ ბევრი მენეჯერისთვის დისტანციურად მუშაობა არაკომფორტულია, რადგან ვერ ხედავენ თავიანთ თანამშრომლებს. სწორედ აქ თამაშობს კომუნიკაცია მნიშვნელოვან როლს - აუცილებელია ღია და ხშირი კომუნიკაცია დისტანციურად მომუშავე თანამშრომლებსა და მენეჯერებს შორის, რომ არავის გაუჩნდეს შეკითხვები სამუშაოს შესრულებასთან (არ შესრულებასთან) დაკავშირებით.

ფიზიკური გარემო - თუ კომპანია უპირატესობას ანიჭებს გარკვეულ ფიზიკურ გარემოს, რომელშიც თანამშრომელმა უნდა იმუშაოს, მიუთითებს ეს პოლიტიკაში. ზოგ კომპანიას ურჩევნია ან მოითხოვს, რომ თანამშრომლის მიერ დისტანციურად მუშაობის დაწყებამდე, შესაბამისი ფიზიკური გარემოს არსებობა დაამტკიცოს. ეს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხია. თუ საოფისე გარემოზე ვფიქრობთ, ზოგადად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შენობა უსაფრთხოა, რომ კომპანია აკონტროლებს CO₂-ის დონის მსგავს საკითხებს, რომ მას აქვს ხანძარსაწინააღმდეგო ან უსაფრთხოების სისტემა. მთავარია, რომ ჯანსაღი სამუშაო გარემო იყოს.

უსაფრთხოება - დისტანციურად მუშაობისას დიდი პრობლემა უსაფრთხოებაა. დიდი კომპანიები

უსაფრთხო ქსელებზე მუშაობენ, თუმცა როდესაც თანამშრომლებს ინფორმაცია ოფისიდან მოაქვთ, უსაფრთხოება გარანტირებული არ არის. თანამშრომლები ძალიან ფრთხილად უნდა იყვნენ საჯარო ადგილებში მუშაობის დროს. თუ კომპანიებს აქვთ სპეციფიკური მოთხოვნა, მაგ., მათ არ უნდათ, რომ თანამშრომლებმა საჯარო Wi-Fi გამოიყენონ, მაშინ ეს პოლიტიკაში უნდა აისახოს.

კლიენტების კონფიდენციალობა - უსაფრთხოებასთან ერთად, პოლიტიკაში კლიენტის კონფიდენციალობის საკითხიც უნდა შევიდეს. ინფორმაციის საიდუმლოდ დაცვა გაცილებით უფრო ადვილია დაცულ სამუშაო სივრცეში. მაგალითად, თუ თქვენ კლიენტი კაფეში ყოფნის დროს გირეკავთ, ამ დროს მასთან დაცულ და პერსონალურ ინფორმაციას არ განიხილავთ. დისტანციურად მომუშავე თანამშრომელს ამის გაკეთებას ვერავინ აუკრძალავს, თუ ეს პირდაპირ არ იქნება დაფიქსირებული პოლიტიკაში. ამრიგად, დისტანციური მუშაობის სწორად წარმართვა, როგორც წესი, სასარგებლოა კომპანიებისთვის, იმისათვის, რომ თავიდან აიცილონ დაზიანება ან სამუშაოსთან დაკავშირებული დავები. კომუნიკაციის შესახებ მოლოდინების ორგანიზება ჯანმრთელ ურთიერთობას აყალიბებს თანამშრომლებსა და ხელმძღვანელებს შორის.

5. დისტანციურად მუშაობის საჯარო სამსახურის ბიუროსთვის რეკომენდებული მოდელი

საჯარო სამსახურის ბიუროს ხელმძღვანელობა ამჟამად განიხილავს შერეულ მოდელს, რომელიც საუკეთესოდ შეესაბამება მის ორგანიზაციულ კულტურას. კერძოდ, ცენტრალიზებული ოფისის და დროდადრო სახლიდან მუშაობის მოდელის მიხედვით, საჯარო მოხელეებს მოეთხოვებათ უმთავრესად ოფისიდან იმუშაონ, თუმცა დროდადრო სახლიდან მუშაობის არჩევანი ექნებათ. ამ შემთხვევაში, დისტანციურად მუშაობის საათების რაოდენობა შეიძლება განსხვავდებოდეს პოზიციის, დავალებების შესრულების სპეციფიკის ან მოხელის ცხოვრების სხვადასხვა გარემოებიდან გამომდინარე და ეს უშუალო მენეჯერთან უნდა შეთანხმდეს.

დისტანციურად მუშაობის სამართლებრივ რეგულირებასთან დაკავშირებით საჯარო სამსახურის ბიუროსთვის მთავარი რეკომენდაციაა, მიიღოს გადაწყვეტილება, თუ რომელი კანონმდებლობით მოხდება დისტანციურად მუშაობის ფორმალიზება და ასევე, განსაზღვროს ბიუროში დისტანციურად მუშაობის მთავარი პრინციპები/წესები.

IT ინსტრუმენტები, ოპტიმალური გადაწყვეტილებები

IT ინფრასტრუქტურა

დისტანციური მუშაობის პრაქტიკა გაცილებით წარმატებულია იმ ორგანიზაციებში, რომლებიც თავიანთ თანამშრომლებს შესაბამისი ტექნოლოგიითა და ინსტრუმენტებით უზრუნველყოფენ. ორგანიზაციის რესურსების, სამუშაო დოკუმენტების, სახლიდან ან სადმე სხვა ადგილიდან ხელმისაწვდომობის შესაძლებლობა არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ზრდის დისტანციურად მუშაობის პროდუქტიულობას და მუშაობის ამ მეთოდით კმაყოფილების დონეს.

1. IT ინსტრუმენტები სამუშაო მოქნილობისთვის

დისტანციურად მუშაობა ვერ იქნება ეფექტიანი თუ თქვენ თანამშრომლებს არ ექნებათ შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა და ტექნიკა. შესაბამისად, ღირს, რომ ინვესტიცია ჩადოთ სამუშაოს შესასრულებლად საკმარისი სიმძლავრის მქონე ლეპტოპებში, ასევე სმარტფონებში, რათა თანამშრომლებთან კონტაქტი შეინარჩუნოთ. სამუშაო დოკუმენტების ერთიანობისთვის

სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ თქვენს თანამშრომლებს მათზე წვდომა პროგრამული უზრუნველყოფის ერთი და იმავე ვერსიების გამოყენებით ჰქონდეთ, რადგან პროექტზე მუშაობისას, ხშირად საჭირო იქნება მათთან რეალურ დროში თანამშრომლობა. თუმცა, ამისთვის ერთ-ერთი მოთხოვნაა 'ღრუბელზე' დაფუძნებული ინსტრუმენტები, რომლებიც ადამიანებს ნებისმიერი მოწყობილობის საშუალებით დაუკავშირების შესაძლებლობას აძლევს - ელ.ფოსტის გაგზავნა, მიღება, დოკუმენტების შექმნა, რედაქტირება და გაზიარება, ჩათში და ტელეკონფერენციებში მონაწილეობის მიღება. საჭიროა აირჩიოთ პროგრამა, რომელიც მუშაობს ყველა გავრცელებულ მოწყობილობაზე და პლატფორმაზე (Windows, iOS, Android) და რომლის გამოყენებით დაუკავშირდებით არა მხოლოდ ყველა თანამშრომელს, არამედ სხვა კოლეგებს, პარტნიორებს და მომხმარებლებს. ასეთია მაგალითად, Office 365, რომელიც იმისთვის შეიქმნა, რომ უზრუნველყოს უსაფრთხო კომუნიკაცია და დოკუმენტების გაცვლა.

ყველაზე მოსახერხებელი ინსტრუმენტები

Skype for Business არის დისტანციური შეხვედრებისა და ვიდეო კონფერენციების ჩატარების ინსტრუმენტი. მისი დახმარებით შეგიძლიათ პირისპირ შეხვედრა ან ერთად მუშაობა საზიარო ეკრანის საშუალებით, ასევე დოკუმენტების გაზიარება, რედაქტირება ან უბრალოდ საუბარი. გარდა ამისა, ნებისმიერი შეხვედრა შეგიძლიათ ადვილად ჩაიწეროთ და გაუზიაროთ იმ ადამიანებს, რომლებმაც ვერ მოახერხეს შეხვედრაში მონაწილეობის მიღება. სტატუსის პიქტოგრამა გიჩვენებთ არის თუ არა კოლეგა კომპიუტერთან და აქვს თუ არა დრო, რომ თქვენთან საკითხი სწრაფად განიხილოს.

Microsoft Teams არის კომუნიკაციისა და თანამშრომლობის ერთიანი პლატფორმა, რომელიც აერთიანებს სამუშაო „ჩათს“, ვიდეო შეხვედრებს, ფაილების შენახვას (ფაილებზე თანამშრომლობის ჩათვლით) და პროგრამების ინტეგრაციას. ეს ინსტრუმენტი სასარგებლოა „ონლაინ“ ტრენინგისთვის და ვიდეო ნაკადის გადასაცემად, რადგან მათზე წვდომა შეუძლიათ მიიღონ იმ გარე მომხმარებლებმაც, რომლებიც არ არიან Microsoft- ის პროდუქტების მომხმარებლები.

Microsoft Teams ჯგუფებს ან გუნდებს საშუალებას აძლევს დაუკავშირდნენ სისტემას კონკრეტული URL- ის, გუნდის ადმინისტრატორის ან მფლობელის მიერ გაგზავნილ მოწვევის საშუალებით.

Microsoft Outlook არის პირადი ინფორმაციის მენეჯერი, ელექტრონული ფოსტის პროგრამა, რომელიც მოიცავს კალენდარს, დავალებათა დისპეტჩერს, კონტაქტების მენეჯერს, შენიშვნების ჩაწერას, ჟურნალს და ა.შ. თქვენს კომპანიაში საზიარო კალენდარი საშუალებას მოგცემთ გააუმჯობესოთ დროის და სამუშაოს დაგეგმვა, სწრაფად და მარტივად მოაწყოთ შეხვედრები.

Microsoft SharePoint არის ქსელზე დაფუძნებული თანამშრომლობის პლატფორმა, რომელიც ინტეგრირდება Microsoft Office-სთან. ძირითადად, იგი გამოიყენება როგორც დოკუმენტების მართვისა და შენახვის სისტემა, მაგრამ პროდუქტი მრავალფუნქციურია და სხვადასხვა ორგანიზაციებში სხვადასხვაგვარად გამოიყენებენ. მრავალი მათგანისთვის, Microsoft SharePoint არის პლატფორმა, რომელსაც თანამშრომლები კომპანიის ინტრანეტზე წვდომისთვის და ინფორმაციის დამოუკიდებლად გასაზიარებლად იყენებენ.

Microsoft Forms არის ინსტრუმენტი, რომელიც „ონლაინ“ კითხვარებს ქმნის. იგი თანამშრომლებს საშუალებას აძლევს ადვილად შექმნან კითხვარები და ჩაატარონ შიდა თუ გარე მომხმარებელთა კვლევა. ასევე, შესაძლებელია მონაცემების ექსპორტი Microsoft Excel-ში.

Microsoft OneDrive არის ფაილების ჰოსტინგის და სინქრონიზაციის სერვისი, რომელსაც Microsoft-ი ახორციელებს Office-ის ვებვერსიის ფარგლებში. OneDrive მომხმარებლებს საშუალებას აძლევს შეინახონ ფაილები, გააზიარონ და სინქრონულად იმუშაონ, ასევე, ატვირთონ Microsoft Office დოკუმენტები.

ვირტუალური კერძო ქსელი (VPN) – ტექნოლოგია, რომლის მეშვეობითაც, საზოგადოებრივი ქსელის საშუალებით კერძო ქსელი დისტანციურ მომხმარებლებს საშუალებას აძლევს გაგზავნონ და მიიღონ მონაცემები, თითქოს მათი კომპიუტერული მოწყობილობები პირდაპირ იყოს დაკავშირებული კერძო ქსელთან. აპლიკაციები, რომლებიც VPN სისტემის მეორე მხარეს მუშაობენ (კომპიუტერი, სმარტფონი და ა.შ.) სარგებლობენ კერძო ქსელის ფუნქციონალებით, მისი უსაფრთხოებისა და მართვის სისტემით.

დოკუმენტების მართვის სისტემა (DMS) არის სისტემა, რომელიც გამოიყენება დოკუმენტების მისაღებად. ასევე მართვის, შენახვის და ქაღალდის გამოყენების შემცირების მიზნით. თუ ადამიანებს დისტანციურად დოკუმენტების უსაფრთხოდ გასაზიარებლად შესაბამისი ინსტრუმენტები აქვთ, ისინი მათ გამოიყენებენ. თუ არ აქვთ, მაშინ, რაიმე გზას გამოძებნიან. ეს კი შეიძლება თქვენი კომპანიისთვის რისკის შემცველი იყოს. დღეს, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, შესაფერისი დროა დისტანციური სამუშაო აღჭურვილობისა და პროგრამული უზრუნველყოფის განსაახლებლად.

ოფისი ქაღალდის გარეშე და მორგებული სამუშაო გარემო

სწორი ინსტრუმენტები თანამშრომლებს ეხმარება იყვნენ უფრო მოქნილი, პროდუქტიული და უკეთ მოტივირებული, თუ მათ სწორად იყენებენ. სათანადო პროგრამული უზრუნველყოფა და აპარატურა, სამუშაო პროცედურები და პროცესები ხელს უწყობს თანამშრომლებს სახლიდან იმუშაონ და გამოიყენონ კომპანიის მონაცემებზე დისტანციური წვდომა. კომპანიის მიერ ქალაქის გარეშე ოფისის შექმნა უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ყველაფრის გაციფრულებას. როგორც წესი, ის ვინც ქალაქისგან სრულიად თავისუფალი ოფისისკენ მიისწრაფის, მეტად ზრუნავს გარემოზე, რადგან სახლიდან მუშაობის შესაძლებლობა გამორიცხავს მანქანის გამოყენების აუცილებლობას, რაც ნახშირბადის გამოწვევების მოცულობას ამცირებს.

გარდა ამისა, სახლიდან მუშაობის შესაძლებლობა ტრადიციულად უკავშირდება კომპანიის ფინანსურ სარგებელს. იგი ხშირად განიხილება, როგორც უძრავი ქონების ხარჯების შემცირების ერთ-ერთი საშუალება, რადგან თუ დასაქმებულთა გარკვეული ნაწილი ყოველთვის სახლიდან მუშაობს, კომპანიას ნაკლები საოფისე ფართი სჭირდება, მისი კომუნალური გადასახადებიც ასევე დაბალია.

შენობის ნაწილის დათმობისას კომპანიებმა თანამშრომლებისთვის შესაბამისი გარემო უნდა შექმნან, რომ ნებისმიერი თავისუფალი ადგილით ისარგებლონ, როდესაც ისინი სამსახურში მიდიან. ეს მოითხოვს სამუშაო ადგილებზე განლაგებას ისე, რომ თანამშრომლები მოხერხებულად დაუკავშირდნენ სტაციონარულ ადგილებს (მონიტორები, კლავიატურა, პრინტერები, ინტერნეტი). როგორც წესი, ამ მიზნით გამოიყენება კავშირის უნივერსალური სადგურები. სამუშაო გარემოს ადაპტირებისას კომპანიამ მნიშვნელოვანია აგრეთვე უზრუნველყოს უსაფრთხო უსადენო კავშირი მთელს ორგანიზაციაში და მზად იყოს იმისთვის, რომ ადვილად შესძლოს სერვერების უმეტესობა სერვისების მომწოდებელთა მონაცემთა ცენტრებში გადაიტანოს, რათა კომპანიამ საჭიროების შემთხვევაში მარტივად შეიცვალოს შენობა.

დისტანციური სწავლებისა და შეხვედრების ორგანიზება

კომუნიკაციის სხვადასხვა ხელსაწყოები და ფორმები, დაწყებული მარტივი ხმოვანი „ჩათით“, უფრო რთული პროგრამებით, საკომუნიკაციო არხებით და / ან შესაძლებლობების გაძლიერების “ონლაინ” აქტივობებით დასრულებული, შეიძლება გამოყენებულ იქნას დისტანციურ სამუშაო მოდელში.

 **ლიეტუვას გამოცდილება**

დისტანციურ მუშაობის, როგორც მუშაობის ჩვეულებრივი ფორმის, შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე **ევროპული სოციალური ფონდის სააგენტომ** 6 თვიანი საპილოტე ტესტირება ჩაატარა იმისათვის, რომ დაედგინა, რამდენად შეძლებდნენ მისი თანამშრომლები სახლიდან მუშაობას, ინტენსიური დატვირთვის პირობებში, აწყდებოდნენ თუ არა რაიმე სირთულეებს. საპილოტე პროცესის ყველა მონაწილემ დააფიქსირა თავისი შენიშვნები. ამ გამოცდილებისა და თანამშრომლების დაკვირვების საფუძველზე, ევროპის სოციალური ფონდის სააგენტომ შემდეგი ტექნიკური ცვლილებები განახორციელა:

- შეიძინა და დააყენა Office 365 სერვისის პაკეტი. ამ სერვისების წყალობით, მნიშვნელოვნად გაიზარდა სამუშაო მოქნილობა. IT სამმართველოს თანამშრომლებმა ყველა თანამშრომელს ასწავლეს, თუ როგორ უნდა გამოიყენონ ახალი ინსტრუმენტები. ტრენინგი ჩატარდა შეხვედრების დარბაზში მათთვის, ვინც სამუშაო ადგილზე იმყოფებოდა, დისტანციურად მომუშავე თანამშრომლებს კი შეხვედრაზე ჩართვა ვიდეო კავშირის საშუალებით შეეძლოთ. ვინც ვერ დაესწრო შეხვედრას მათთვის ჩანაწერი გაკეთდა. ახლა ყველა მნიშვნელოვანი ტრენინგისა და შეხვედრის ტრანსლაცია ხდება.
- შეცვალა ფიქსირებული სატელეფონო ხაზები მობილური ტელეფონებით. ამან ხელი შეუწყო პერსონალის ხელმისაწვდომობის გაზრდას და თანხების დაზოგვას, სააგენტოს აბონენტებისთვის მობილური და ინტერნეტ სერვისების უფასოდ უზრუნველყოფის საშუალებით.
- ორგანიზებული იქნა ვირტუალური კერძო ქსელი (VPN), თანამშრომლების მიერ შიდა სისტემების უსაფრთხოდ გამოყენების მიზნით. მისი დახმარებით, დისტანციურად მუშაობისას, თანამშრომლებს თავისუფალი წვდომა აქვთ ორგანიზაციის ყველა შიდა სისტემაზე, თითქოს ისინი ოფისში იყვნენ.
- გადახედა პროცესებს და შეძლებისდაგვარად გააციფრულა. ქაღალდის დოკუმენტები თითქმის აღარ გამოიყენება. ისინი ციფრულ ფორმატში გადაიყვანეს და დოკუმენტების მართვის სისტემასა და სხვა სისტემებში გადაიტანეს. სააგენტომ შეიძინა სახელმწიფო შესყიდვების პროცესის დაგეგმვისა და მართვის სისტემა. ამჟამად, დოკუმენტების 96%-ს ელექტრონულად ეწერება ხელი.
- შემცირდა ოფისის ფართობის დაახლოებით 30%. ახლა ყველა თანამშრომელს არ აქვს თავისი სამუშაო ადგილი და საზიარო სივრცეს იყენებენ (როცა ოფისში მიდიან). შენობის ერთი სართულის დათმობამ, მნიშვნელოვნად შეამცირა სააგენტოს ოფისის ქირის ხარჯები.

- შესაბამისობაში მოიყვანა სამუშაო ადგილის აღჭურვილობა. ახლა თანამშრომლებს შეუძლიათ გამოიყენონ ოფისის საზიარო სივრცე და მოხერხებულად დაუკავშირდნენ სტაციონარულ აღჭურვილობას.
- უზრუნველყო უსაფრთხო უკაბელო კავშირი ორგანიზაციის მასშტაბით.
- სერვერების უმეტესი ნაწილი სერვის-პროვაიდერების მონაცემთა ცენტრებში გადაიტანა. ეს შესაძლებელს გახდის, საჭიროების შემთხვევაში, ადვილად მოხდეს შენობის ცვლილება.
- მუდმივად უზრუნველყობს IT-განყოფილების მომსახურება. პროცედურები შემუშავებულია და სრულდება ყველა IT პერსონალისთვის. ისინი მუშაობისას ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ბიბლიოთეკის (ITIL) მოდელის იდეებს იყენებენ. ServiceDesk- ის დახმარებით, ისინი მართავენ თავიანთ მომსახურებას, შეკითხვებს, დოკუმენტაციას და ა.შ., ყოველწლიურად, სააგენტოს სასწავლო ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილი IT პერსონალის ტრენინგისთვის გამოიყოფა.

ინფორმაციული უსაფრთხოების პროცედურების მომზადება

ინფორმაციის უსაფრთხოება - მოხილვას აქვს უამრავი დადებითი გავლენა კომპანიებისთვის, მაგრამ მათ უნდა შეეძლოთ რისკებთან გამკლავება და უსაფრთხოების მოთხოვნების დაკმაყოფილება - როგორცაა დაკარგული მოწყობილობები, ან უცნობი მომხმარებლები, რომლებიც დისტანციურად იყენებენ კომპანიის ფაილებს. ინფორმაციული უსაფრთხოება არის ინფორმაციის დაცვის პრაქტიკა, რისკების შემცირების საშუალებით. ეს როგორც წესი გულისხმობს მონაცემებზე უნებართვო / არასათანადო დაშვების შესაძლებლობის ან ინფორმაციის უკანონო გამოყენების, გამჟღავნების, დაზიანების, წაშლის, დამახინჯების, მოდიფიცირების, შემოწმების, ჩაწერის ან გაუფასურების შესაძლებლობის თავიდან აცილებას ან მინიმუმამდე შემცირებას. იგი ასევე შეიცავს მოქმედებებს, რომლებიც მიზნად ისახავს ასეთი ინციდენტების უარყოფითი ზემოქმედების შემცირებას. არსებითად, პროცედურები ან პოლიტიკა აცნობებს ადმინისტრატორებს, მომხმარებლებს და ოპერატორებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გამოიყენონ პროდუქტები ორგანიზაციაში ინფორმაციის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

იმისათვის, რომ დისტანციურად მუშაობა მხოლოდ მოსახერხებელი კი არა უსაფრთხოც იყოს, კომპანიები შეიმუშავენ, აძლიერებენ და ახორციელებენ ინფორმაციის უსაფრთხოების პოლიტიკას. როგორც წესი, მათ თითოეული ქვეყნის კანონმდებლობის უსაფრთხოების მოთხოვნების საფუძველზე შეიმუშავენ. ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა და მისი

მოთხოვნები ორგანიზაციაში სხვადასხვა ტექნიკური და ორგანიზაციული ზომების დახმარებით ხორციელდება.

ლიეტუვას გამოცდილება

ევროპის სოციალური ფონდის სააგენტო მუდმივად აძლიერებს ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკას. ინფორმაციის უსაფრთხოების საკითხები კიდევ უფრო აქტუალური გახდა, როდესაც თანამშრომლებმა სახლიდან დაიწყეს მუშაობა, რის შემდეგაც გადაიდგა შემდეგი ნაბიჯები:

- მნიშვნელოვნად გაფართოვდა ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი - ახლა ის ოთხი ძირითადი ნაწილისაგან შედგება: მონაცემთა უსაფრთხოების რეგულაციები, ელექტრონულად ინფორმაციის უსაფრთხოდ მართვის წესები, საქმიანობის უწყვეტობის მართვის გეგმა და მომხმარებელთა მართვის წესები.
- დაინიშნა პირი, რომელიც პასუხისმგებელია მონაცემთა უსაფრთხოებაზე (უსაფრთხოების წარმომადგენელი) - იგი ორგანიზებას უწევს და აკონტროლებს სააგენტოში ინფორმაციის უსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელებას: კონკრეტულ მონაცემთა მომხმარებლებსა და ადმინისტრატორებს წვდომის უფლებებით უზრუნველყოფს, პერიოდულად, შემთხვევითობის პრინციპით ამოწმებს, ახდენს რისკის ყოველწლიურ შეფასებას, საჭიროების შემთხვევაში კი, რისკის რიგგარეშე შეფასებას. ასევე, კოორდინაციას უწევს ინფორმაციულ სისტემაში მომხდარი ელექტრონული ინფორმაციული უსაფრთხოების ინციდენტების გამოძიებას. გარდა ამისა, თანამშრომლებს, რომლებსაც უსაფრთხოებასთან დაკავშირებით გარკვეული ინციდენტი შეემთხვათ, მაგ.: მიიღეს არასასურველი შინაარსის მქონე წერილი ელ. ფოსტით.
- **შემუშავდა ინფორმაციული სისტემების საქმიანობის უწყვეტობის მართვის გეგმა** - ელექტრონული ინფორმაციის უსაფრთხოების ინციდენტებს მართავს და რეორგანიზაციას უწევს სააგენტოების კრიზისების მართვის გუნდი, ინფორმაციული სისტემების და კომუნიკაციის პროცესის აღდგენის დეტალური გეგმისა შესაბამისად.
- **თანამშრომელთა ინფორმირებულობა და განათლება** - ვერანაირი IT ინსტრუმენტები და სისტემები ვერ უზრუნველყოფს მონაცემთა უსაფრთხოების გარანტიას, თუ თანამშრომლები საკითხს პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან. უსაფრთხოების წარმომადგენელი ამზადებს შესაბამის სასწავლო მასალებს, ქმნის ცოდნის შესამოწმებელ ტესტებს და წელიწადში ერთხელ ყველა გადის ტესტირებას. იგი ასევე აცნობებს თანამშრომლებს ელექტრონული ფოსტით ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკებისა და პრობლემების შესახებ მათი გამოვლენისთანავე. გარდა

ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ მასალებისა, პასუხისმგებელი პერსონალი ასევე ამზადებს კორუფციის აღკვეთასა და მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ (ახალი მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციების (GDPR) შესაბამისად) სასწავლო მასალებს და ატარებს ტესტს ცოდნის შემოწმების მიზნით წელიწადში ერთხელ.

დისტანციური სამუშაო პროცესის ორგანიზება

დისტანციურად მუშაობის წინაპირობები

სამუშაოს ჩვეულებრივი ფორმიდან დისტანციურ ფორმაზე გადასვლა ორგანიზაციის საქმიანობაში სერიოზული ცვლილებაა. ამრიგად, მნიშვნელოვანია რომ ამ გადაწყვეტილების მიღებამდე მუშაობის ამ ფორმის ორგანიზების ძირითადი პრინციპები გვესმოდეს.

წინასწარ ნდობის გამოცხადება - ეს არის ძირითადი წესი, რომელიც უნდა ვისწავლოთ დისტანციურად მუშაობის დაწყებისას. ცხოვრებამ აჩვენა, რომ ადამიანებმა, რომლებმაც მიიღეს ნდობის „კრედიტი“, არ სურთ მისი დაკარგვა და ცდილობენ ყველაფერი გააკეთონ მის გასამართლებლად. ნდობა აუცილებელია დისტანციურად მუშაობა წარმატებული რომ იყოს. მენეჯერები უნდა დარწმუნდნენ, რომ თითოეულ დისტანციურად მომუშავე თანამშრომელს აქვს თვითდისციპლინა - შეუძლიათ საკუთარი პროდუქტიულობის კონტროლი და ზედამხედველობის გარეშე კომფორტულად მუშაობა. მაგრამ ეს ნდობა ორმხრივია და დისტანციურად მომუშავე თანამშრომელიც უნდა გრძნობდეს, რომ ენდობიან, და შეუძლია მუშაობის ის გზა აირჩიოს, რომელიც მას საუკეთესოდ მიაჩნია.

ხელმძღვანელობის ჩვევების შეცვლა - დისტანციურ სამუშაოზე გადასვლისას, ლიდერებს საკუთარი გუნდების ნაკლები კონტროლის შესაძლებლობა ექნებათ. მთავარი ის კი არ იქნება, თუ რამდენ დროს ხარჯავს თანამშრომელი სამუშაოს შესრულებაზე, არამედ რა შედეგი აქვს მის მუშაობას. ეს ლიდერობის კულტურის ცვლილებას მოითხოვს, სადაც მთავარი ასპექტია თანამშრომელთა მართვიდან მათ ქოუჩინგზე, გაძლიერებაზე და გადაწყვეტილების მიღებაში თავისუფლების მიცემაზე გადასვლა. რადგან ლიდერს ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა აკისრია შედეგზე, შორიდან მუშაობის დროს თანამშრომლებთან ურთიერთობის შენარჩუნების გზების მოძიებაზე პასუხისმგებლობაც თავად უნდა აიღონ.

კომუნიკაციის მართვა - როდესაც გუნდებს არ აქვთ შესაძლებლობა სასწრაფოდ შეხვდნენ და განიხილონ მათთვის საჭირობო საკითხები, როდესაც არ არსებობს შესაძლებლობა, უბრალოდ გადასმახთ კოლეგას გამოაგზავნოს თქვენთვის საჭირო დოკუმენტი, როდესაც ადამიანები ინფორმაციას სხვადასხვა წყაროდან იღებენ და შესაძლოა ეს ინფორმაცია განსხვავდებოდეს, კომუნიკაცია მთავარ როლს თამაშობს. ასე რომ, პირველი „სავარჯიშო“ დისტანციურ სამუშაოზე გადასვლისას არის იმაზე შეთანხმება, თუ როგორ დაუკავშირდნენ გუნდის წევრები ერთმანეთს. რამდენად ხშირად რა ფორმით მოხდება კომუნიკაცია, როგორ იქნება უზრუნველყოფილი მონაწილეთა სია, როგორ შემუშავდება ერთიანი პრაქტიკა, რამდენად სწრაფად უნდა გაეცეს პასუხები შეტყობინებებს, რამდენად ხშირად ტარდება დისტანციურად შეხვედრები, კონფერენციები და ა.შ. კომუნიკაციის წესების განსაზღვრა ყველაზე საიმედო პრევენციული ღონისძიებაა შეცდომების, ინფორმაციული ხმაურისა და არასაჭირო განხილვების ან თუნდაც კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად.

სტრატეგიის ხაზგასმა - ორგანიზაციის საერთო მიზნები მაინც ყველაზე მნიშვნელოვანია. ლიდერებმა ყველა შესაძლებლობა უნდა გამოიყენონ, რომ თავიანთ თანამშრომლებთან ამას ხაზი

გაუსვან. გამოკვლევებმა და გამოცდილებამ აჩვენა, რომ როდესაც ორგანიზაცია ფიზიკურად დაშორებულია, თანამშრომლები შორდებიან ორგანიზაციის ზოგად მიზნებს: ისინი უბრალოდ თავიანთ ყოველდღიურ ფუნქციებს ასრულებენ და გრძელვადიან პერსპექტივაში სულ უფრო ნაკლებად უკავშირდებიან მათი დაწესებულების სტრატეგიას. ამიტომ, აუცილებელია სტრატეგიის ხშირი გახსენება და განხილვა.

გუნდური სულისკვეთების სტიმულირება

- მაშინაც კი, თუ გუნდის ყველა წევრთან ხშირად შეხვედრის შესაძლებლობა არ არის, ეს შეიძლება დისტანციურად გაკეთდეს. რა თქმა უნდა, ამისთვის ცოტა მეტი შემოქმედებითობაა საჭირო. შესაძლებელია დილით მოკლე ხნით დაკავშირება სკაიპით, დღის მოვლენების და განწყობების განსახილველად, არაფორმალური ინფორმაციის გასაზიარებლად, დაბადების დღის სიურპრიზების მოსაწყობად, დღის საკითხის ან თემის გასაზიარებლად და სხვა. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ იგრძნოთ როგორ ცხოვრობენ ადამიანები და როგორ გრძნობენ თავს დისტანციურად მუშაობისას.

ნორმალური რიტმის შენარჩუნება - კვლევები აჩვენებს, რომ თანამშრომლებისთვის ძალიან რთულია

გრძელვადიან პერიოდში დისტანციურად მუშაობისას ბალანსის დაცვა სამუშაოს და პირად ცხოვრებასა და დასვენებას შორის. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანი რეკომენდაციაა, არ შეცვალოთ ნორმალური სამუშაო რუტინა. სახლიდან მუშაობისას თანამშრომლებმა შუალედებში უნდა შეისვენონ. ის ფაქტი, რომ დისტანციურად მუშაობთ, არ არის იმის მიზეზი, რომ 24 საათის განმავლობაში იმუშაოთ.

წესების შეთანხმება - მუშაობის ამ მიმზიდველი ფორმით პირველი მოხიბვლის შემდეგ, ორგანიზაცია იწყებს გარკვეული კითხვების დასმას, თუ რა არის შესაძლებელი და მისაღები და რა - არა. ადამიანები სხვადასხვა კითხვების დასმას იწყებენ: „უნდა ვაცნობო ჩემს მენეჯერს და კოლეგებს, როდესაც ბავშვთან ერთად გავდივარ და კომპიუტერს ცოტა ხნით ვწყდები?“, „გამოტოვებულ ზარს რამდენ ხანში უნდა ვუპასუხო?“ , “რა დროის შემდეგ უნდა ვუპასუხო ელ.წერილს?“, „შემიძლია თუ არა თვითონ გადავწყვიტო, როდის ვივარჯიშო და როდის ვიმუშაო?“, „თუ მართლა ავად ვარ და თავს ცუდად ვგრძნობ, შემცვლიან თუ არა სხვა კოლეგები, მიუხედავად იმისა, რომ სახლიდან ვმუშაობ?“. ეს და მრავალი სხვა საკითხი მხოლოდ მაშინ იჩენს თავს, როდესაც რეალობასთან ვხდებით პირისპირ, ამიტომ მათი შეთანხმება გარდაუვალია.

„პულისის გასინჯვა“ - დისტანციურად მუშაობისას ადვილია რაიმე მნიშვნელოვანი გამოტოვოთ. მაგალითად, როგორ გრძნობენ თავს თანამშრომლები, გრძნობენ თუ არა შინაგან ცვლილებებს მომხმარებლები, რა სირთულეების წინაშე დგებიან ორგანიზაციის წევრები, რა დაბრკოლებები უნდა გადაიჭრას, რომ მუშაობა უფრო გამარტივდეს - შეიძლება ვერ გავიგოთ (ან ძალიან გვიან აღმოვაჩინოთ) თუ არ შევჩერდებით და დროდადრო კითხვებს არ დავსვამთ. შიდა გამოკითხვები, მოკლე გუნდური დისკუსიები და ა.შ.- უკუკავშირის მისაღებად ყველა გზა შესაბამისი და აუცილებელია და ნამდვილად დაგეხმარებათ გაუთვალისწინებელი დაბრკოლებების გადალახვაში.

შედეგების დაგეგმვა - ერთად მუშაობა აადვილებს ამოცანების გაზიარებას, ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების განხილვას და შეთანხმებული შედეგის მიღებას. დისტანციურად მუშაობისას შედეგების დაგეგმვისთვის ახალი გზები უნდა მოვძებნოთ. როგორც თანამშრომლებმა, ისე მენეჯერებმა უნდა გამონახონ დრო და შეათანხმონ რა შედეგის მიღწევა სურთ დღეს, ამ კვირაში, ამ თვეში. ასევე, მნიშვნელოვანია რამდენად ხშირად და როგორ განიხილავენ პროგრესს, როგორ აღრიცხავენ სირთულეებს და უზრუნველყოფენ უკუკავშირს. სხვა

სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ როგორ „იგრძნობენ ქარის ზოგად მიმართულებას, ზღვის სხვადასხვა დინების გავლენის შემდეგ“.

მოქნილობის გამოჩენა - ნათქვამია, რომ ვისაც ადაპტირება შეუძლია, ბუნებაში გადარჩენის სხეებზე მეტი შანსი აქვს. იგივე შეიძლება ითქვას ორგანიზაციებზეც. ეს განსაკუთრებით ცვლილების დროს ვლინდება. მხოლოდ ცვლილებების განხორციელებით შეუძლიათ ლიდერებს გააცნობიერონ, თუ რომელი გადაწყვეტილებები იყო სწორი და რომელი არა, რა გაკეთდა კარგად, რა უნდა გაუმჯობესდეს, რა გამოწვევების

წინაშე აღმოჩნდით და კიდევ რა გველოდება წინ. ამიტომ, უკვე მიღებულ გადაწყვეტილებების არ შეცვლა, რადგან „ჩვენ ასე გადავწყვიტეთ“, არ არის ადაპტირების სწორი გზა ცვალებად გარემოში. საჭიროების შემთხვევაში, გადაწყვეტილების შეცვლის თავისუფლება, ისტორიული მეხსიერების დათმობის შესაძლებლობა, რთულ მდგომარეობაში სწრაფი რეაგირება და მოქნილობა მინიმალურად საზიანო გამოსავლის მოსაძებნად - ეს არის დისტანციურად მუშაობის წარმატებული მართვის წინაპირობა. მუშაობის ამ ფორმას ხომ ყოველთვის თან ახლავს გაურკვევლობის გრძნობა.

ლიტუვას გამოცდილება

ESFA– ს ხელმძღვანელობამ გადაწყვეტილება მიიღო, რომ ქოუჩინგის კულტურა დაენერგა და ამრიგად, ლიდერობის პრინციპები შეეცვალა. ამჟამად, დიდი ყურადღება ეთმობა ღირებულებაზე დაფუძნებულ ლიდერობას და თანამშრომელთა ქოუჩინგს. ამან გააუმჯობესა უკუკავშირის ხარისხი და თანამშრომლებს საუკეთესო გადაწყვეტილებების მოძიების შესაძლებლობა მისცა, რადგან მათზე კონტროლის დონე შემცირდა.

ცვლილების მიზნების ფორმულირება

მართვის თეორიის თანახმად, მიზნების დადგენა და მიღწევა შეუძლებელია იმ გარემოში, სადაც:

- მიზნების შინაარსი და მიზნების რიცხვითი მნიშვნელობები პროგრესის მიხედვით მუდმივად იცვლება;
- ვერ აკონტროლებთ გარემოს ფაქტორების ან სხვა ადამიანების ქმედებებს, რომელთა წვლილი საჭიროა დასახული მიზნის მისაღწევად.

შესაბამისად ჩნდება კითხვა, ისეთ მდგომარეობაში ხომ არ ვართ, როცა მიზნის მიღწევა ცოტა ხნით უნდა გადავდოთ?

შიდა კვლევების თანახმად, ადამიანები ამბობენ, რომ ყველაზე გაურკვეველ ვითარებაში, მათ მკაფიოდ განსაზღვრული მიზნები დაეხმარებოდათ. მათი აზრით, შემდეგი საკითხები ყველაზე მეტად შეუწყობს ხელს დამაბულობის შემცირებას: „კონკრეტული სამუშაო ვადები“, „მკაფიო სამუშაო გეგმა“, „მკაფიო მიზნების დასახვა“, „4-5 პრიორიტეტს შორის მანევრირების თავიდან აცილება, როდესაც გარემო არაპროგნოზირებადია და მუდმივად იცვლება“.

აქედან გამომდინარე, დასკვნა ერთია - აუცილებელია თანამშრომლებისთვის მკაფიო და გაზომვადი მიზნების დასახვა. ექსტრემალურ პერიოდში მიზნები მკაფიო მიმართულებას გვაძლევს, რადგან გვაქვს ამოსავალი წერტილი, საიდანაც დავიწყებთ მოქმედებას და ჩვენს ენერჯიას ყველაზე საჭირო და მნიშვნელოვან საქმიანობას მოვახმართ, უაზრო ქმედებებზე დროის დაკარგვის გარეშე.

თქვენი თანამშრომლებისთვის მიზნების დასახვის წინ, კარგი იქნებოდა შეგეფასებინათ მომავალი საქმიანობა შემდეგი თვალსაზრისით:

- ფიქრობენ თუ არა თანამშრომლები, რომ ისინი ვერ აკონტროლებენ რეალურად მდგომარეობას და ნამდვილად ასეა თუ არა;
- ფიქრობენ თუ არა თანამშრომლები, რომ ისინი ვერ აკონტროლებენ რეალურად მდგომარეობას, თუმცა სინამდვილეში მათ შეუძლიათ მდგომარეობის კონტროლი;
- ფიქრობენ თუ არა თანამშრომლები, რომ მდგომარეობის კონტროლი შეუძლიათ, თუმცა რეალურად ასე არ არის;
- ფიქრობენ თუ არა თანამშრომლები რომ შეუძლიათ მდგომარეობის კონტროლი, თუმცა არ აპირებენ ამის გაკეთებას;
- ფიქრობენ თუ არა თანამშრომლები რომ მათ შეუძლიათ მდგომარეობის გაკონტროლება და რეალურად ასეც არის;

გაურკვეველ ვითარებაში, ჩვენ მხოლოდ ისეთი მიზნები უნდა დავუსახოთ თანამშრომლებს, რომლებიც მათ კონტროლს ექვემდებარება, რეალურად მიღწევადია და მხოლოდ მათ ძალისხმევაზეა დამოკიდებული. თანამშრომლებისთვის პასუხისმგებლობის მოთხოვნა იმ საკითხებზე, რომლებიც მათ კონტროლის სფეროს სცილდება, კიდევ უფრო აღრმავებს სტრესს და უზარმაზარ უკმაყოფილებას იწვევს სამსახურში.

მიზნების ჩამოყალიბების საუკეთესო გზა უნივერსალური SMART მეთოდია.

S(specific) - კონკრეტული

მიზანი უნდა იყოს კონკრეტული, ანუ ნათელი და ზუსტი, უნდა აჩვენოს საბოლოო შედეგი, რომლის მიღწევასაც ვგეგმავთ. შესაბამისად, თავიდან უნდა იქნას აცილებული აბსტრაქტული, ძალიან ფართო ფორმულირებები.

! მნიშვნელოვანია ცვლილების პროცესში კონკრეტიკა და სიცხადე კიდევ უფრო აქტუალურია. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ არ დატოვოთ „თავისთავად ცხადი“ საკითხები. მაგალითად, დასახული მიზნის ფრაზა „უკეთესად კომუნიკაცია“ უნდა შეიცვალოს ფრაზით - "გუნდისთვის ინფორმაციის გადაცემა ხელმძღვანელობის ყოველი შეხვედრის შემდეგ“.

M(measurable) - გაზომვადი

მიზანი უნდა იყოს გაზომვადი, ანუ უნდა იყოს აბსოლუტურად ნათელი, თუ როდის იქნება მიზანი მიღწეული და რამდენად ზუსტად შეაფასებთ მის მიღწევას. ჩვენ ამას მიზნების მიღწევის შეფასების კრიტერიუმების დადგენით ვაფასებთ. როგორც წესი, რთულია ხარისხობრივი მიზნების მიღწევის ობიექტურად გაზომვა. საქმე რომ გაიმარტივოთ, წარმოიდგინეთ, რომ მიზანი უკვე მიღწეულია და დაუსვით თავს შემდეგი შეკითხვები: როგორ და რა სახის დაკვირვებით შენიშნავთ ამას? გამოცდილება გვიჩვენებს, რომ თუ მიზნის

მიღწევის შეფასებას მნიშვნელოვანი და დამატებითი ძალისხმევა სჭირდება, დიდი ალბათობით მას ვერ შევაფასებთ. ამ შემთხვევაში, უკეთესია შევარჩიოთ მარტივი, თუმცა რეალურად გაზომვადი კრიტერიუმი.

! ცვლილების დროს ადრე დაგეგმილი რიცხვები მნიშვნელობას კარგავს. ხშირად ახალ რიცხვებს გონივრულად ვერ განვსაზღვრავთ. ცვლილების პროცესში ხშირად ადეკვატურია შესაძლო საუკეთესო შედეგზე, ვიდრე კონკრეტულ დაგეგმილ შედეგზე ორიენტირება. შესაბამისად, მხოლოდ ჩამორჩენა კი არ ფასდება, არამედ მისი გამომწვევი პროცესიც.

A(achievable or agreed) - მიღწევადი ან შეთანხმებული

ასო A-ს ორნაირი ახსნა აქვს. თუმცა, ორივე ახსნა, „მიღწევადი“ და „შეთანხმებული“, გვიჩვენებს, რომ კარგად ფორმულირებული მიზანი ყველა დაინტერესებულ მხარესთან უნდა განვიხილოთ და შევუთანხმოთ, ყოველთვის უნდა გვესმოდეს როგორ მივალწევთ მიზანს და გვჯეროდეს რომ მისი მიღწევა შესაძლებელია. ეს რომ გავაკეთოთ, მიზნები უნდა განვიხილოთ იმ გუნდთან, რომელმაც ის უნდა განახორციელოს.

R(relevant) - მნიშვნელოვანი

მიზანი მნიშვნელოვანი და აქტუალურია, როდესაც ის ხელს უწყობს შედარებით მაღალი დონის მიზნების მიღწევას (მაგ., ორგანიზაციის ძირითადი სტრატეგიული მიზანი). ამის უზრუნველსაყოფად, ჩვენ კარგად უნდა ვიცნობდეთ და ვაცნობიერებდეთ ორგანიზაციის მიზნებს, და ნათლად გვესმოდეს დასახული მიზნის და შედარებით მაღალი დონის მიზნებს შორის ურთიერთმიმართება. ასევე გასაგები უნდა იყოს, თუ რატომ უნდა გავამახვილოთ ყურადღება ამ მიზანზე სწორედ ამ ეტაპზე.

! ცვლილებების პროცესში, კომპანიისთვის მნიშვნელოვან ქმედებებზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება და

ჩვეულებრივზე მცირე რაოდენობის პრიორიტეტები გვქონდეს.

T(time-bound) დროში გაწერილი

მიზანს უნდა ჰქონდეს განხორციელების მკაფიო ვადა. ვადის განსაზღვრა დაგვეხმარება სამუშაოს სტრუქტურირებაში და მოქმედების სტიმულს მოგვცემს. როდესაც მიზნის მიღწევის ვადას საზღვრავთ, უმჯობესია კონკრეტული თარიღი დაასახელოთ.

თანამშრომელმა უნდა იცოდეს: რა არის დღესდღეობით ორგანიზაციისთვის მნიშვნელოვანი? (მაგ.: რეორგანიზაციის აქტივობები, გადარჩენა, მზარდ სამუშაო დატვირთვასთან გამკლავება და ა.შ.)

ექსტრემალურ პირობებში მუშაობისას თქვენი გუნდის წევრებთან ურთიერთობების მითითებები:

- მოაწყვეთ ყოველკვირეული შეხვედრები;
- გაუზიარეთ გუნდის და/ან ორგანიზაციის საქმიანობის შედეგები;
- გასული კვირის საქმიანობის განხილვისას, ყურადღება გავამახვილეთ რა გაკეთდა, რა გამოვიდა და რა არ გამოვიდა;
- ყველა ერთად შეთანხმდით შემდეგი 1-2 კვირის პრიორიტეტებზე. აუცილებლად გამოძებნეთ დრო და განიხილეთ რატომ არის ეს მნიშვნელოვანი;
- როგორც უწინ, აღმოუჩინეთ საჭირო დახმარება, განიხილეთ პოტენციური რისკები და ის თუ რა სახის დახმარება შეიძლება დასჭირდეს თანამშრომელს;
- მხოლოდ სამუშაოზე შეკითხვებით ნუ შემოიფარგლებით, ჰკითხეთ თანამშრომელს ზოგადად მისი ცხოვრების შესახებ.

1. თანამშრომლებთან კომუნიკაციის წესები

თუ თანამშრომლებისთვის დისტანციურად მუშაობის შესაძლებლობის მიცემა შესაფერის ვარიანტად მიიჩნევა, პირველი დაბრკოლება, რომლის გადალახვაც ორგანიზაციას მოუწევს მათთან სწორად კომუნიკაციის გზის გამონახვაა. თანამშრომლებისთვის ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევა არის კომუნიკაციის ნაკლებობა და საქმის კურსში არ ყოფნის განცდა. ქვემოთ მოცემულია თანამშრომლებთან ეფექტიანად კომუნიკაციის რამდენიმე მითითება.

განსაზღვრეთ მოლოდინები

პირველი რაც უნდა გააკეთოთ - დაადგინეთ დისტანციურად მუშაობისას კომუნიკაციის სახელმძღვანელო მითითებები. აუცილებელია თანამშრომლებთან საუბარი, რომ განსაზღვროთ გეგმა, რა სახის კომუნიკაციაზე უნდა მოახდინონ რეაგირება, რამდენად სწრაფად უნდა უპასუხონ თქვენს ელ. წერილს და ა.შ. სტრუქტურირებული მიდგომის საშუალებით თავიდან აიცილებთ პოტენციურ პრობლემებს.

უზრუნველყავით ერთი და იმავე ტექნოლოგიების გამოყენება

კომუნიკაციის ტექნოლოგიის ძალიან ბევრი ვარიანტის არსებობა შეიძლება დამაბრკოლებელი და დამაბნეველი იყოს. ამიტომ აუცილებელია თანამშრომლებთან შეთანხმება, თუ რომელ IT საშუალებებს გამოიყენებთ (მაგალითად, რომელი არხების მეშვეობით დაუკავშირდებით, როდესაც იქნება დეპარტამენტის შეხვედრები, როგორ მიიღებს პერსონალი დავალებებს, რა შემთხვევებში არის აუცილებელი ვიდეო ზარები, როგორ განიხილავთ პროგრესს პირადად და ა.შ.). მნიშვნელოვანია, რომ თქვენი ოფისის და

დისტანციურად მომუშავე თანამშრომლები ერთი და იმავე პროდუქტის კომპლექტს იყენებდნენ და იცოდნენ თითოეული ინსტრუმენტის დანიშნულება - განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისინი დავალებაზე ერთად მუშაობენ.

ერიდეთ არასწორ კომუნიკაციას

მართალია, საქმეში არასწორი კომუნიკაციის სრულად თავიდან აცილება რთულია, მრავალ პრობლემას აირიდებთ თუ ხშირად დაშვებულ შეცდომებს გაითვალისწინებთ. დამატებითი ყურადღების გამახვილებაა საჭირო წინადადებების ფორმულირებაზე, ფრაზების ჩამოყალიბებაზე, მართლწერასა და ტონზე. თუ ზეპირად ინფორმაციის გადაცემა უკეთესია, ვიდრე წერილობით, დაურეკეთ თანამშრომელს ტელეფონით ან ვიდეო ზარი დაგეგმეთ.

მიეცით მონაცემებზე წვდომა

ბევრ კომპანიას აქვს უსაფრთხოების მექანიზმები, იმისათვის, რომ მონაცემებზე გარედან არაავტორიზებული წვდომა აღკვეთონ. ამასთან, აუცილებელია რომ IT დეპარტამენტმა ორგანიზაციის თანამშრომლებს მონაცემებზე დისტანციურად ადვილად წვდომის შესაძლებლობა მისცეს თქვენს

მიერ გამოყენებულ მონაცემთა საცავებში. ამის დახმარებით, თქვენი თანამშრომლები ინფორმაციას ერთი წყაროდან მიიღებენ.

დაგეგმეთ პირისპირ შეხვედრები

მნიშვნელოვანია დისტანციურად მომუშავე თანამშრომლებთან დროდადრო დაკავშირება, რათა დარწმუნდეთ, რომ საერთო ხედვა გაქვთ. იქნება ეს ყოველკვირეული ზარი თუ ვიდეო კონფერენცია, ისინი დააფასებენ უკუკავშირის მიცემის და მიღების შესაძლებლობას. იმის მიხედვით თუ რამდენად შორს ცხოვრობს დისტანციურად მომუშავე თანამშრომელი შეიძლება ასევე მას პირადად შეხვდეთ ყოველთვიურად ან ექვს თვეში ერთხელ.

არაფორმალური კომუნიკაციის ფორმალიზება

სანამ ოფისში მნიშვნელოვან საკითხებს განვიხილავთ, თანამშრომლებს სხვა თემებზე ვესაუბრებით: როგორ გავატარეთ შაბათ-კვირა, რა ახალი წიგნი აღმოვაჩინეთ, რას ვგეგმავთ დასვენების დღეებში და ა.შ. დისტანციურად მუშაობისას, ცდუნება გვაქვს, რომ გამოტოვოთ ასეთი თავაზიანი საუბრები და დაუყოვნებლივ განვიხილოთ ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები. სინამდვილეში ეს თანამშრომლებთან კომუნიკაციის გადამწყვეტი ნაწილია. მენეჯერის მთავარი ამოცანაა მოიძიოს არაოფიციალურად კომუნიკაციის გზები.

ერთ – ერთი პოპულარული ფორმაა გუნდური დღეები - კვირაში ერთი დღის არჩევა, როდესაც ყველა შეხვედრით ინტერნეტით და პირად თემებზე ისაუბრებთ, მაგ.: გაიხსენებთ „ძველ დროს“.

მუდმივად აღნიშნეთ, რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი

როგორ წესი, უჩვეულო ვითარების დროს ადამიანები ნამდვილად არ არიან ორიენტირებულნი სამუშაოზე. ისინი ნერვიულობენ საკუთარ ჯანმრთელობაზე, ახლობლების ჯანმრთელობაზე, საუბრობენ მოსალოდნელ კრიზისზე და მომავალზე. ასევე, ხშირი გუნდი საერთოდ არ არის მიჩვეული სახლიდან მუშაობას. ასე რომ, ცვლილებებისა და გაურკვეველობის დროს მენეჯერი თანამშრომელს უფრო ხშირად უნდა დაუკავშირდეს, ვიდრე ზოგადად მიიჩნევს საჭიროდ.

უთხარით გუნდის წევრებს ხშირად დაუკავშირდნენ ერთმანეთს

როდესაც გუნდი მუშაობს მარტო, ხშირად ხდება, რომ ყველა თანამშრომელი მენეჯერს უკავშირდება, მაგრამ ერთმანეთთან კომუნიკაცია არ აქვთ. ეს ნიშნავს, რომ მენეჯერს შეიძლება საერთოდ არ ჰქონდეს დრო კიდევ ვინმესთან ურთიერთობისთვის - უბრალოდ კოორდინაციას უწევს საქმიანობას, ისე, რომ ყველამ იცოდეს რა ხდება. ამის თავიდან ასაცილებლად, შესაძლებელია, სამუშაოს გარკვეული


ასპექტები შესასრულებლად დიდი გუნდის შემადგენლობაში შემავალ შედარებით მცირე ჯგუფებს მიანდოთ, რომლებიც ერთმანეთს, ვიდეო ზარების საშუალებით დაუკავშირდებიან. ეს გუნდის წევრებს წახალისებს ერთმანეთს იდეები გაუზიარონ დან ზოგიერთი დავალებების შესრულებაზე ერთობლივად იმუშაონ.

დახელოვნდით დისტანციური შეხვედრების ჩატარებაში

დისტანციური შეხვედრები სასარგებლო და ეფექტიანი რომ იყოს აუცილებელია დისტანციური შეხვედრებისთვის მკაფიო წესების ჩამოყალიბება. შეხვედრის გეგმა შეიძლება შეიცავდეს ისეთ ასპექტებს,

როგორცაა, როგორ უზრუნველყოთ ყველას მონაწილეობა, რა წესები შეიქმნება, იმისათვის, რომ ავიცილოთ ერთდროულად ერთი და იმავე სამუშაოს შესრულება რამდენიმე თანამშრომლის მიერ. მნიშვნელოვანია რიტმისა და მეთოდოლოგიის დადგენა. და მაინც, წესებისა და პირობების ჩამოყალიბებისას ყველაზე მნიშვნელოვანი არის მუდმივად გადამოწმება რამდენად მისაღებია ისინი გუნდისთვის.

! ყოველდღიური კომუნიკაცია თანამშრომლებთან აუცილებელია. ეს ხელს უწყობს უარყოფითი საუბრების შემცირებას, რაც ზრდის პანიკას და ადამიანებში ეჭვებს აღვიძებს.

 **ლიეტუვას გამოცდილება**

ESFA-ს გამოცდილებამ აჩვენა, რომ ვიდეო შეხვედრები უფრო ეფექტიანია - უფრო მეტი ადამიანი მონაწილეობს, უფრო სწრაფად იღებენ გადაწყვეტილებებს და დრო იზოგება. კვლევებმა აჩვენა, რომ ვიდეო კონფერენცია ხელს უწყობს დისტანციურ გუნდებს შორის კომუნიკაციის გაძლიერებას, შეხვედრებს უფრო პროდუქტიულს, ხანმოკლეს და სწრაფს ხდის. ვიდეო ზარები ადამიანებს შორის ურთიერთობების დამყარებასაც უწყობს ხელს. როდესაც ადამიანები ერთმანეთს ხედავენ საუბრის დროს, ისინი უკეთესად უსმენენ ერთმანეთს, შეუძლიათ დააკვირდნენ სხეულის ენას, ამასთანავე ისინი ამ კომუნიკაციაზე ამახვილებენ ყურადღებას, ნაცვლად იმისა, რომ ერთდროულად რამდენიმე სამუშაო გააკეთონ.

ვიდეო კონფერენციები აადვილებს ტრადიციების შენარჩუნებას ან არაფორმალურ კომუნიკაციას. მაგალითად, შესაძლებელია დისტანციურ შეხვედრაზე დასწრება, სადაც ყველა თანამშრომელი დაბადების დღის სიმღერას უმღერის კოლეგას მის დაბადების დღეზე.

ეფექტიანი დისტანციური შეხვედრის ორგანიზება

შეხვედრას ან დისკუსიას წარმატებულს მაშინ უწოდებენ, როდესაც შეხვედრის მიზნები მიიღწევა, დრო მინიმუმამდეა დაყვანილი, ხოლო მონაწილეებს მიაჩნიათ, რომ მათ ეფექტიანად იმუშავეს და მნიშვნელოვანი სამუშაო გააკეთეს. ამასთან, დისტანციურ შეხვედრაში, ჩვენ უშუალო კონტაქტი არ გვაქვს და რთულია ვიგრძნოთ, რომ ყველაფერი კარგად მიდის. ამიტომ, ჩვენ კიდევ უფრო დიდი გამოწვევის წინაშე ვდგავართ, რადგან საჭიროა შეხვედრაში ყველა მონაწილე ჩავრთოთ და დავებმართო მათ კომუნიკაციაში. შეხვედრისთვის მოსამზადებლად, პირველ რიგში უნდა დადგინდეს, ეს შეხვედრა ინფორმაციის გაცვლის მიზნით იგეგმება თუ პრობლემის გადასაჭრელად. საინფორმაციო შეხვედრის მიზანი არ არის განხილვა, არამედ ინფორმაციის გაზიარება იმისათვის, რომ დღევანდელი სტატუსი ვიცოდეთ. ინფორმაციული შეხვედრები, როგორც წესი, რეგულარულია, სტანდარტული დღის წესრიგით და შეიცავს მონაწილეთა რეგულარულ სიას (მაგ., ხელმძღვანელობის ყოველკვირეული შეხვედრები ან პროექტის გუნდის ყოველთვიური შეხვედრები).

შეხვედრის დასაწყისში ჯგუფმა უნდა იცოდეს, რა შედეგის მიღწევა სურს. ასეთი შეხვედრის დროს საჭიროა მსჯელობა, როგორც წესი არარეგულარული ხასიათისაა და მათი დღის წესრიგი და მონაწილეთა სია დამოკიდებულია სიტუაციაზე. შეხვედრების ტიპური მიზნებია:

- ინფორმაციის გაზიარება, „პულსის გასინჯვა“;
- გადაწყვეტილების მიღება;
- დამოკიდებულების ჩამოყალიბება, გარკვეული მიმართულებით აზროვნების სტიმულირება;
- მონაწილეთა შეკრება, კომუნიკაციის ბარიერების შემცირება;
- უნარების განვითარება.

ქვემოთ მოცემულია ონლაინ შეხვედრების ეფექტიანად ჩატარების მითითებები.

მონაწილეები - შეხვედრაზე ვიწვევთ მხოლოდ მათ, ვისაც რეალურად შეუძლია წვლილი შეიტანოს ამ საკითხის გადაწყვეტაში (მათი ცოდნისა და ავტორიტეტის დახმარებით). სხვა შემთხვევებში, ჩვენ დროებით ვერთვებით ან წერილობით ვიღებთ მოსაზრებას. როდესაც მონაწილეთა რიცხვი 10-ს

აჭარბებს, ჯგუფში მსჯელობა რთულდება. ამიტომ აუცილებელია ტექნიკური შესაძლებლობების შეფასება და ჯგუფური დისკუსიის მცირე ჯგუფებად დაყოფა. ვიცით რა ჯგუფის მიზნებისა და განწყობების შესახებ, საჭიროა შევავსოთ ჯგუფები შერეული უნდა იყოს თუ

ერთგვაროვანი (მაგ., ერთი ერთეულის ფუნქციები).

კარგი იქნება უმაღლესი რგოლის მენეჯერებთან განვიხილოთ მათი როლი და მუშაობის წესები.

სამუშაო პროცესის დაგეგმვა და მომზადება

- კარგი დღის წესრიგის პრინციპი: ჯერ ვითარების ანალიზი, შემდეგ კი გადაჭრის გზების ძიება. გამოყავით დრო შეხვედრაზე კითხვების დასასმელად, დისკუსიებისთვის იმისათვის, რომ ხელახლა არ მოგიწიოთ ინფორმაციის წაკითხვა ან მისი გადაცემა. წინასწარ აცნობეთ მონაწილეებს აღნიშნული წესი და დაიცავით იგი. მიზანშეწონილია, რომ მონაწილეები მოემზადონ შეხვედრისთვის - იფიქრონ საწყის იდეებზე. ამისთვის, საჭიროა, რომ მათ წინასწარ მიიღონ საკითხები მოსამზადებლად. მათ თავისი მოსაზრება უნდა ჩამოაყალიბონ კონკრეტულად და ნათლად. თქვენ განსაზღვრავთ

კონკრეტულ ვადას იმისათვის, რომ მონაწილეებმა თავიანთი იდეები წერილობით გამოგზავნონ. შემდეგ შეაჯამებთ ყველაზე მნიშვნელოვან პუნქტებს და მონაწილეებს შეხვედრის ჩატარებამდე უგზავნით. შეხვედრის დროს, დისკუსიას საწყისი იდეებიდან დაიწყებთ.

ტექნიკური მომზადება - წინასწარ

შეამოწმეთ ტექნიკური შესაძლებლობები: როგორ ჩაერთოთ შეხვედრას, როგორ აჩვენოთ ვიდეო სიუჟეტები, როგორ გაანაწილოთ მონაწილეები დისკუსიებისთვის. თუ მონაწილეებს ჯერ არ უცდიათ - გაუგზავნეთ სისტემაში შესვლის ნათელი ინსტრუქციები და დაუთმეთ დრო საცდელ შესვლას. ვიდეო კავშირის ყველა სარგებლის მიუხედავად, გაითვალისწინეთ, რომ აუდიო კავშირი, როგორც წესი, უფრო საიმედოა, ვიდრე ვიდეო.

ერთად მუშაობის წესები: როგორ ჩავატაროთ „ონლაინ“ დისკუსია?


შემდეგი წესები ყველაზე მეტად დაგეხმარებათ:

- ყველას აქვს საუბრის საშუალება;
- ერთი გამოსვლა - 3 წუთამდე;
- ერთ ჯერზე მხოლოდ ერთი ადამიანი საუბრობს;
- თუ კოლეგის გამოსვლაზე ვრეაგირებთ - პირველ რიგში, საკუთარ ვინაობას ვასახელებთ;
- მენეჯერი ბოლოს საუბრობს;
- ვეძებთ საერთო მოსაზრებას, კონსენსუსს, თუმცა არა აუცილებლად სრულ კონსენსუსს;
- თუ ეჭვებს გამოვთქვამთ - გადაწყვეტასაც ვთავაზობთ.

ერთად მუშაობის წესები: როგორ ვუმკლავდებით ტექნიკურ პრობლემებს?

- თუ ხმაურიანი გარემო გაქვთ - გამოიყენეთ ხმის ჩამხშობი ღილაკი;
- თუ კავშირი წყდება - ეცადეთ გათიშოთ და ხელახლა ჩაერთოთ;
- ნუ გამორთავთ გაფრთხილების გარეშე;
- მოდერატორი 10 -15 წუთით ადრე ერთვება;
- მონაწილეები 5 წუთით ადრე ერთვებიან.

დროის მართვა - ყოველთვის დაიწყეთ და დაასრულეთ დროულად. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ონლაინ შეხვედრებში. თუ ადრე დაასრულებთ, ეს პლიუსია. პირველი, უზრუნველყავით სრული დღის წესრიგი და დრო თითოეული საკითხისთვის. დაიმახსოვრეთ, რომ დისკუსიაში ყველაზე გავრცელებული პრინციპია - „რამდენი დრო დასჭირდება, იმაზე დამოკიდებული, თუ რამდენ დროს გამოყოფ“. რეგულარულად გადაამოწმეთ დარჩენილი დრო. მიყევით დღის წესრიგს. გამონაკლის შემთხვევებში, შეგიძლიათ დისკუსიის გაგრძელება 10-15 წუთის განმავლობაში. ამისათვის მონაწილეებს ნებართვა სთხოვეთ.

 ლიეტუვას გამოცდილება
ESFA- ს გამოცდილებამ აჩვენა, რომ მოდერატორის დანიშვნა და კითხვების და დროის წინასწარ დაგეგმვა შეხვედრებს უფრო ეფექტიანს ხდის. ხელმძღვანელთა ყოველკვირეულ შეხვედრებს მენეჯერი როტაციის საფუძველზე ატარებს გრაფიკის შესაბამისად. სამუშაო ჯგუფის შეხვედრების მოდერატორი სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელია, მაგრამ თუ დისკუსია იგეგმება, ყოველთვის დისკუსიის მოდერატორი ინიშნება.

ეფექტიანი ელ. წერილის დაწერის სახელმძღვანელო პრინციპები

დისტანციურად მუშაობის დროს ელექტრონული ფოსტა კომუნიკაციის ერთერთი მთავარი საშუალებაა. თუ მას პასუხისმგებლობით და სწორად გამოიყენებთ, ეს ყველა ჩვენთაგანს უამრავ დროს დაუზოგავს. ქვემოთ მოცემული ინსტრუქციები უზრუნველყოფს ელექტრონული ფოსტის საშუალებით წერილების წერის ძირითად წესებს, ეტიკეტს და მითითებებს.

დარწმუნდით, რომ ელ. ფოსტა თქვენ მდგომარეობაში კომუნიკაციის შესაბამისი პლატფორმაა. ელ. ფოსტა საუკეთესო ინსტრუმენტი არ არის ყველა სიტუაციაში. პირველი, რაც კარგად უნდა გაითვალისწინოთ ელ.ფოსტის წერილის დაწერამდე - წერილის მიზანი. რა გსურთ გადასცეთ: მნიშვნელოვანი ინფორმაცია, ინსტრუქცია თუ მითითებები? ან იქნებ გარკვეული სიტუაციის დეტალების გაცნობა ან პრობლემის მოგვარება გსურთ? საჭიროა ჯერ განსაზღვროთ წერილის დაწერის მიზანი და შემდეგ გადაწყვიტოთ კომუნიკაციის რომელი საშუალებაა თქვენთვის

საუკეთესო - ელ.ფოსტა, სატელეფონო ზარი თუ პირისპირ შეხვედრა. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ იმ ელ. წერილების მიზანი, რომელიც სამუშაო პროდუქტიულობას ამაღლებს შემდეგია:

- სწორი ინფორმაციის გადაცემა, მაგ.: შეხვედრის დღის წესრიგი, მონაწილეთა სია და ა.შ.
- ზუსტი დავალების მიცემა, მაგ.: “შეგიძლიათ ხვალინდელი შეხვედრისთვის სლაიდები გამომიგზავნოთ?”, “გიწვევთ ჩემს ოფისში 14:00 სთ-ზე (სკაიპის შეხვედრაზე) საკითხის განსახილველად“ და ა.შ.

ჩვენ პატივი უნდა ვცეთ და დავზოგოთ კოლეგების დრო და კარგად ვიფიქროთ იმაზე, თუ რა ვთქვათ შეტყობინებაში და ვინ უნდა მიიღოს ეს მესიჯი

! ელ.ფოსტის გამოყენების ცუდი მაგალითი შეიძლება იყოს სიტუაცია, როდესაც საუბარი „ჩატის“ მსგავსი ხდება. მდგომარეობა უარესდება როდესაც საუბარში 2 – ზე მეტი მონაწილე ერთვება. ეს ხდება მაშინ, როდესაც წერილის გამგზავნი ქაოტურად და არათანმიმდევრულად გამოხატავს აზრებს.

სათანადოდ ჩამოაყალიბეთ საკითხი

ელ.ფოსტის თემა უნდა იყოს მკაფიო, მოკლე, მაგრამ ინფორმაციული, რომ ადრესატმა გააცნობიეროს, რა არის წერილის მიზანი. წერილის სათაური იმ ინფორმაციასთან ასოცირდება, რომლის გაგზავნაც გსურთ და შეძლებისდაგვარად მოკლე უნდა იყოს. მაგ.: „დეპარტამენტის თანამშრომელთა შეხვედრა“, „ანგარიშზე კომენტარის თხოვნა“, „საბჭოს სხდომასთან დაკავშირებით“, „სასწრაფო შეხვედრა“ „შეკითხვებზე პასუხი“ „ინფორმაციული უსაფრთხოების ტესტი: გთხოვთ გაიაროთ“ და ა.შ.

უმჯობესია სიფრთხილე გამოიჩინოთ, როდესაც ელ. წერილზე მიუთითებთ, რომ არის „სასწრაფო“ ან „მნიშვნელოვანი“. თუ მიმღები თქვენგან ყოველთვის წითელი ძახილის ნიშნით მონიშნულ წერილებს მიიღებს, წითელი ძახილის ნიშანი დაკარგავს მნიშვნელობას და მხოლოდ იმის მიმანიშნებელი გახდება, რომ ფიქრობთ, რომ თქვენ უფრო მნიშვნელოვანი ხართ ვიდრე სხვები. ასე რომ, ამგვარი მარკერები არ უნდა გამოიყენოთ უმნიშვნელო წერილებთან.

! არასოდეს დატოვოთ თემის ველი ცარიელი - ასეთი წერილი არ მიიქცევს მიმღების ყურადღებას და პასუხს სწრაფად არ მიიღებთ. თუ თქვენ მიღებულ წერილს პასუხობთ ან ხელახლა გზავნით წერილს, ყოველთვის შეამოწმეთ თემა და საჭიროების შემთხვევაში - მიუთითეთ ის. ასევე, სათანადოდ გამოიყენეთ To, CC, BCC ველები.

რაც შეეხება წერილის ადრესატებს, ფრთხილად უნდა ავარჩიოთ To, CC, BCC ველები:

- To (ვის) არის ველი, რომელიც გვიჩვენებს თუ ვისთვის არის წერილი გამიზნული, საიდანაც ჩვეულებრივ ველოდებით პასუხს. სანამ ადრესატს მიუთითებდეთ დაფიქრდით,

ნამდვილად საჭირო არის თუ არა ამ პირმა მიიღოს წერილი, თუ ეს მისთვის უსარგებლო ინფორმაციაა.

- CC (წერილის ასლი) ველი გამიზნულია წერილის ასლის გასაგზავნად დამატებითი მიმღებებისთვის, რომელთაც არ ევალებათ ამ წერილზე პასუხის გაცემა.
- BCC (ფარული ასლი) ანალოგიური მიზანი აქვს (ასლის გასაგზავნად გამოიყენება), იმ განსხვავებით, რომ მას სხვა მიმღებები ვერ ხედავენ.

! დოკუმენტის შემუშავების ან კოორდინაციის პროცესში, არ არის საჭირო მენეჯერმა ყველა წერილი მიიღოს. მათ მხოლოდ პრიორიტეტული, მნიშვნელოვანი და განყოფილების შიგნით სრულად დამუშავებული ინფორმაცია უნდა მიიღონ. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც თავად მენეჯერებს სურთ რომ საუბარში მონაწილეობა მიიღონ. თუ თქვენ მიმღებთა სიაში ხართ და გსურთ მხოლოდ მადლობა გადაუხადოთ გამომგზავნს ინფორმაციისთვის, არ არის საჭირო მადლობის წერილი ყველა მიმღებს გაუგზავნოთ

იფიქრეთ ადრესატზე - პირზე, რომელიც წერილს წაიკითხავს

როგორც ცხოვრებაში კომუნიკაციისას, ელ.ფოსტის წერილის შინაარსი და ტონი უნდა განსხვავდებოდეს ადრესატის მიხედვით - თქვენთან მათი ურთიერთობების, მოვალეობებისა და სტატუსის გათვალისწინებით. ეს იმას არ ნიშნავს, რომ თუ კოლეგასთან ან მომხმარებელთან კარგი ურთიერთობა გაქვთ, წერილის დაწერას ნაკლები პასუხისმგებლობით მოეკიდოთ, ან რომ სამინისტროს წარმომადგენლს რთული წერილი უნდა მისწეროთ. მნიშვნელოვანია გავაცნობიეროთ, რომ როგორც წესი, ერთსა და იმავე საკითხს ადამიანები სხვადასხვაგვარად აღიქვამენ და საუბრის კონტექსტის გასაგებად განსხვავებული დროს ესაჭიროებათ.

! რაც უფრო მაღალი თანამდებობა აქვს ადამიანს, მით უფრო ნაკლებად შეუძლია ჩასწვდეს ინფორმაციის დეტალებს, ამიტომ შეტყობინება, რომლის გააზრებაც პროექტის ან პროგრამის მენეჯერისთვის ადვილია, შეიძლება სავსებით გაუგებარი იყოს დირექტორთა საბჭოს წევრის ან სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორისათვის, რომლებმაც ჯერ არაფერი იციან ამ საკითხთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში, ეს წესი ნამდვილად დაგვეხმარება: რაც უფრო მაღალი პოზიციის პირს ვუგზავნით წერილს, მით უფრო მარტივი, მოკლე და ზუსტი უნდა იყოს წერილში მოცემული ინფორმაცია.

ჩამოაყალიბეთ შინაარსი მარტივად, მკაფიოდ და ზრდილობიანად

ელ.წერილის დაწერისას საჭიროა დაიცვათ ქცევის ჩვეულებრივი წესები, ეტიკეტის მოთხოვნები და არ უნდა დაგავიწყდეთ თქვენი ენისთვის დამახასიათებელი კომუნიკაციის ნორმები. შეცდომები ჩვენს გაუნათლებლობაზე, სიჩქარესა და უპატივცემულობაზე მიუთითებს. კიბერსივრცეში,

ეტიკეტს საკუთარი თავისებურებები აქვს. აქ, პირი, რომელსაც ვესაუბრებით, ვერ ხედავს ჩვენი სახის გამომეტყველებას, სხეულის ენას, არ ესმის ჩვენი ხმის ტონი. ელ.ფოსტით კომუნიკაციით, ჩვენ არა მხოლოდ სხვადასხვა სამუშაო დავალებების შესრულებას ვცდილობთ, არამედ გვსურს შევქმნათ ჩვენი როგორც თანამშრომლის და ჩვენი დაწესებულების იმიჯი.

წერილის ტექსტი: მარტივი, მკაფიო, მოკლე და კონკრეტული

რაც მთავარია, წერილის წაკითხვის შემდეგ ადამიანს უნდა შეეძლოს მიხვდეს რა გააკეთოს: ინფორმაცია მოიძიოს, დავალება დაასრულოს, კომენტარები გაუგზავნოს, აზრი გამოთქვას თუ სხვა რამ. სამწუხაროდ, ჩვეულებრივ, როდესაც ადამიანები იღებენ ინფორმაციას, არ იციან, რა უნდა გააკეთონ, ასე რომ, წერილის დაწერის დროს, წინასწარ უნდა განვსაზღვროთ ადრესატის კითხვები. თუ მოკლე შეტყობინებას გზავნით, მაგ.: „დღევანდელი შეხვედრა დაფინანსების პირობების აღწერის შესახებ გაუქმდა“, ბუნებრივია, რომ წერილის მიმღებს ექნება კითხვები, თუ რატომ გაუქმდა ან როდის ჩატარდება შეხვედრა. ამიტომ თქვენ უნდა მიაწოდოთ ყველა საჭირო ინფორმაცია, რომ მათ ინფორმაციის შესახებ კითხვის ნიშნები არ გაუჩნდეთ.

წერილის შინაარსის შესადგენად მნიშვნელოვანია კონტექსტის სწორად წარმოჩენა

ამისათვის ჩვენ შეგვიძლია წინა წერილიდან ციტირება მოვახდინოთ ან მისი მოკლე შინაარსი გადმოვცეთ. შეიძლება ზოგი პირი დღეში ასობით წერილს იღებს, რომელსაც უნდა უპასუხოთ, და შესაბამისად, ყველა მათგანის შინაარსი არ ახსოვთ. არ არის თავაზიანი ქცევა თქვენი მხრიდან, როდესაც მიმღებს მთელი საფოსტო ყუთის გადახედვა უწევს კონტექსტის მოსამებნად. უმჯობესია, წერილი იყოს თანმიმდევრული და მხოლოდ რამდენიმე წინადადებას შეიცავდეს. ნუ გადატვირთავთ ტექსტს შეუსაბამო ინფორმაციით, დაკვირვებებით. გრძელ წერილებს მოგვიანებით წასაკითხად იტოვებენ. იდეალურია, როდესაც ერთ წერილში მხოლოდ ერთ თემაზეა საუბარი. თუ უფრო რთული შინაარსის ჩამოყალიბებაა საჭირო, მას მკაფიო სტრუქტურა უნდა მიენიჭოს. თუ წერილი მნიშვნელოვანია, მაგრამ ეჭვი გეპარებათ, რომ სწორად არის ის დაწერილი, ყოველთვის შეგიძლიათ დასახმარებლად კოლეგას მიმართოთ და სთხოვოთ რომ წაიკითხოს - „4 თვალი“ შეცდომების გამოსწორების საშუალებას მოგცემთ.

წერილის სათანადო სტრუქტურა მიეცით, დააჯგუფეთ ინფორმაცია

ადამიანების უმრავლესობა არ კითხულობს მთელ დოკუმენტს, ისინი მხოლოდ მნიშვნელოვან მონიშნულ მასალებს ეძებენ. იგივე ხდება აქ, აი ამის გამო უნდა დაალაგოთ ინფორმაცია. იმისათვის, რომ წერილის სტრუქტურა იყოს ნათელი, საჭიროა გამოიყენოთ სათაურები, მსხვილი შრიფტი და ტექსტის ფორმატირების სხვა ფუნქციები.

თუმცა, ზომიერად უნდა მოიქცეთ და არ გამოიყენოთ ტექსტის ფორმატირების ზედმეტი ინსტრუმენტები, მრავალფეროვანი შრიფტი და ა.შ. ნუ გამოიყენებთ ყოველდღიურ წერილებში ელ.ფოსტის ფერად ფონს, ფერად და უჩვეულო შრიფტს, სურათებს ან სხვა „ლამაზი“ ასოების ფორმებს. ნებისმიერი დიზაინის ელემენტის ზედმეტი გამოყენება (მონიშვნები, ძახილის ნიშნები, ემოციის გამომხატველი ნიშნები (ემოტიკონი) და ა.შ.) წერილის წაკითხვას გაართულებს. უნდა შევინარჩუნოთ სისუფთავე - ამ შემთხვევაში მისი წაკითხვა და რეაგირება ადრესატისთვის უფრო ადვილი იქნება.

! გამოიჩინეთ სიფრთხილე დიდი ასოების დაწერისას. თუ მათ ზედმეტად იყენებთ, მკითხველმა შეიძლება იფიქროს, რომ არასწორად სვამთ აქცენტს.

წაკითხეთ მთლიანი ტექსტი და უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

- შეიცავს წერილი მიმღებისთვის საჭირო სრულ ინფორმაციას?
- გაიგებს მიმღები ჩემი წერილის შინაარს?
- ჩემი არგუმენტები ნათელია?
- მომდევნო მოქმედებისთვის მკაფიო გეგმა არსებობს?
- მიხვდება მიმღები რა უნდა გააკეთოს წერილის მიღების შემდეგ?

ლიეტუვას გამოცდილება

ESFA- ს გამოცდილებამ აჩვენა, რომ ელექტრონული ფოსტის ამ მითითებების შემუშავების შემდეგ, შეტყობინებების ნაკადი 30% -ით შემცირდა. თანამშრომლები გაცილებით ნაკლებ ზედმეტ ან არასაჭირო ინფორმაციას იღებენ, აღარ ხარჯავენ დროს იმის ახსნაში, თუ რა ამოცანები უნდა შეასრულოს ადრესატმა გაუგებარი ელ. წერილის მიღების შემდეგ.

„საქმიანობის დისტანციურად მართვის სამაგალითო პრაქტიკა“

გუნდის მართვის დისტანციური საშუალებების არჩევისას სიფრთხილის გამოჩენა საჭირო. არავის მოსწონს იმის შეგრძნება, რომ მას უთვალთვალებენ. მრავალი დისტანციური მართვის ინსტრუმენტი თანამშრომელთათვის არასასურველ მახასიათებლებს შეიცავს, მაგ.: ეკრანის კადრების გადაღება და კლავიატურაზე დაჭერის მიკვლევადობა. ასე რომ, შეარჩიეთ ინსტრუმენტი, რომელსაც თანამშრომელი ენდობა - რა ინსტრუმენტსაც არ უნდა იყენებდეთ, სრულად უნდა განიმარტოს თუ როგორ ხდება თანამშრომლის მონაცემების დამუშავება. დისტანციურად გუნდის მართვა ვერ გაამართლებს, თუ თანამშრომლები თქვენ მიერ შერჩეულ ინსტრუმენტებს კომფორტულად ვერ იყენებენ. ასევე უნდა უზრუნველყოთ, რომ მართვის ინსტრუმენტებმა

ზედმეტი სამუშაო არ გაუჩინოს თქვენს გუნდს. ისინი მაქსიმალურად მარტივი უნდა იყოს; ინტუიციურად, ადვილად გამოსაყენებელი. ყველას უნდა შეეძლოს სწრაფად გაერკვეს, როგორ უნდა გამოიყენოს ეს ინსტრუმენტი. შესაძლოა ერთ სფეროზე სპეციალიზებულმა ინსტრუმენტებმა გაცილებით უკეთესი შედეგი მოგცეთ, ვიდრე მათ, რომლებიც ყველაფერს მოიცავენ. რა საჭიროა შეიძინოთ ინსტრუმენტი მთელი რიგი ფუნქციონალური შესაძლებლობებით, რომლებსაც თქვენ არ იყენებთ.

სწორი ინსტრუმენტებით, დისტანციურად გუნდების მართვა არ არის განსაკუთრებით რთული ან განსხვავებული ოფისში ადამიანების მართვისგან. მხოლოდ რამდენიმე საკითხი არსებობს, რომლის გათვალისწინებით, თქვენი გუნდი იქნება ბედნიერი და იგრძნობს, რომ უსმენენ და მხარს უჭერენ.

გუნდის ხილვადობა

თუ თქვენი თანამშრომლები მთელ მსოფლიოს მასშტაბით არიან მიმოფანტული, შეიძლება შეგეშინდეთ იმის გააზრებით, რომ ყველას უნდა ადევნოთ თვალყური ვინ რაზე მუშაობს, თუმცა სწორი ინსტრუმენტით, ამას უპრობლემოდ მოახერხებთ. პირველი მოთხოვნა არის გუნდის ხილვადობა - ამ შემთხვევაში, ხედავთ პროგრესს, სთავაზობთ გააზრებულ მხარდაჭერას და ყველა ერთი მიმართულებით მიგყავთ. დისტანციურად მომუშავე გუნდი ხილვადობის ამ დონეს კომფორტულად უნდა მიიჩნევდეს.

საჭიროა მკაფიოდ განმარტოთ, რომ საქმიანობის მართვის ინსტრუმენტები ბოროტი მიზეზით კი არ გამოიყენება, არამედ გუნდის კოორდინირებულ საქმიანობას უწყობს ხელს. ყველას უნდა შეეძლოს სწრაფად დაინახოს ვინ რომელ დავალებას ასრულებს, როდის შესრულდება სავარაუდოდ ის და შემდეგ რას აკეთებს მისი კოლეგა. ცხადია, თუ თქვენ ისეთ ინსტრუმენტებს იყენებთ, რომლებიც თანამშრომლების კონფიდენციალობას იცავს და მათ ინტერესებს ემსახურება, ამის გაკეთება არ უნდა გაგიჭირდეთ.

ჯანსაღი სამუშაო დატვირთვა

გარდა ამისა, დისტანციური გუნდის ხილვადობა და მათზე დაკვირვების უნარი საშუალებას გაძლევთ ყველა თანამშრომელს სათანადო სამუშაო დატვირთვა მისცეთ. როდესაც დისტანციურად მუშაობთ, ოფისსა და სახლს შორის ფიზიკური დისტანცია არ არსებობს; ასე რომ ოფისიდან გამოსვლით ვერ დატოვებთ სამუშაოს. ამის გამო შეიძლება ადვილად იგრძნოთ სტრესი, დაღლილობა და დაძაბულობა - გადაიღალოთ. თითოეული თანამშრომლის სამუშაო დატვირთვაზე დაკვირვებით შეგიძლიათ მთლიანი გუნდის სამუშაო დატვირთვა დააბალანსოთ. თუ ერთ თანამშრომელს ძალიან ბევრი სამუშაო აქვს, მეორეს კი თავისუფალი დრო, შეგიძლიათ რესურსები გადაანაწილოთ. ამით უზრუნველყოფთ, რომ ყველა ჯანსაღად მუშაობს, მისი კვირის ნორმის გადაჭარბების გარეშე.

დისტანციურად მომუშავე თანამშრომლის ავტონომიის მხარდაჭერა

დისტანციურად მუშაობის წარმატებისთვის ნდობა უკიდურესად მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. მენეჯერი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ დისტანციურად მომუშავე გუნდის თითოეულ წევრს აქვს თვით-დისციპლინა – შეუძლია აკონტროლოს საკუთარი პროდუქტიულობა და კომფორტულად მუშაობა ზედამხედველობის გარეშე. თუმცა ეს ნდობა ორმხრივი უნდა იყოს, დისტანციურად მომუშავე თანამშრომლები უნდა გრძნობდნენ, რომ ენდობიან და შეუძლიათ მუშაობის მათთვის საუკეთესო გზა შეარჩიონ. სათანადო ინსტრუმენტებმა, შესაძლოა თანამშრომელს პროდუქტიულად მუშაობის სტიმული მისცეს. აქვთ რა პირადი სივრცე საკუთარი საქმიანობის ანალიზისთვის, ისინი აცნობიერებენ რა ამართლებს მათ შემთხვევაში, რა უშლით ხელს, და რა უფანტავთ ყურადღებას. ამ ინფორმაციის მიღების შემდეგ, თანამშრომლებს შეუძლიათ მათ მუშაობაში ეფექტიანი ცვლილებები შეიტანონ და საკუთარი სამუშაო პროცესი აითვისონ - სცადონ ახალი სამუშაო სტრუქტურის გამოყენება, გარკვეული, ნაკლებად მნიშვნელოვანი სამუშაოს 'აუთსორსინგი' ინსტრუმენტების გამოყენებით და ა.შ. საბოლოო ჯამში, თქვენი მიზანია ისეთ მდგომარეობას მიაღწიოთ, რომ დისტანციურად მომუშავე კოლეგები ერთობლივად უპრობლემოდ მუშაობდნენ, უფროსის ან მენეჯერის ჩარევის საჭიროების გარეშე. როდესაც დისტანციურად მომუშავე გუნდს ენდობით და აძლევთ საშუალებას მუშაობის მათთვის მორგებული გზები გამოიყენონ, თქვენ მათ ნებართვას აძლევთ საკუთარი დროის ბატონ-პატრონები იყვნენ - დისტანციურად მუშაობის სამყაროში, ამ ავტონომიას და საკუთრების გრძნობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

დისტანციურად მომუშავე თანამშრომლები და უკუკავშირის პრაქტიკა

ბევრისთვის გულწრფელი უკუკავშირის უზრუნველყოფა კომუნიკაციის ყველაზე რთული პრაქტიკაა. უკუკავშირი და კონსტრუქციული კრიტიკა სამუშაო პროცესის მართვის, თანამშრომელთა ზრდისა და კმაყოფილების აუცილებელი კომპონენტებია. ოპტიმალურ პირობებში, არ არსებობს იმის გარანტია, რომ თქვენი უკუკავშირი პროდუქტიულ შედეგებად გარდაიქმნება. ამ არასტაბილურ, სტრესულ ეკონომიკურ და დასაქმების პირობებში, პერსონალი განსაკუთრებით მიმართავს ხელმძღვანელობას, რადგან სჭირდებათ მიმართულება, დახმარება და მოტივაცია. მოთმინებით და თანაგრძნობით გადაცემული უკუკავშირი თანამშრომლების პროდუქტიულობას ამაღლებს.

თუ რამეს ხედავთ თქვით - ნეგატიური გრძნობები, დაბნეულობა და ჭორები მგომარეობას ამწვავებს, თუ პირადი და საქმიანი პრობლემები დაუყოვნებლივ არ წყდება. ეს გარემოებები განსაკუთრებით აქტუალურია, როდესაც პერსონალი, რომელიც პირისპირ ურთიერთობას არის მიჩვეული, ახლა მხოლოდ ეკრანზე ჩანს ან ტელეფონით უსმენს ერთმანეთს. ამ ვირტუალური შეხვედრის გარემოში

ადვილად შეიძლება გამოგვჩქეს ვერბალური და არავერბალური მინიშნებები, რომლებსაც კოლეგები მათი განზრახვებისა და მოსაზრებების გასაზიარებლად იყენებენ. თუ უკუკავშირს თქვენი რუტინის შემადგენელ ნაწილად გახდით და რეგულარულად ჩართავთ მას საუბარში, თქვენ სწრაფად შეამცირებთ უხერხულობას და გაუგებრობას, გააუმჯობესებთ სამუშაო მორალს და გააგრძელებთ საქმიანობაში წინსვლას.

ჯერ ნიადაგი მოსინჯეთ - ჯერ ჰკითხეთ თანამშრომელს „როგორ ხარ დღეს?“ და „რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი, რაზეც დღეს მუშაობ?“ ეს კითხვები საშუალებას გაძლევთ გაიგოთ რა განწყობაზეა თქვენი თანამშრომელი. ამის საფუძველზე დაადგენთ, რამდენად სწრაფად იმოქმედებს და მიიღებს ის თქვენს მიერ შეთავაზებულ უკუკავშირს.

